საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყვეფა უკერისფბაზე უსამაგოესია.

ხუთშაბათი, 7 ივნისი. 2018 წ. №118 (8519), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უვარგისი ადამიანები ოთხი წლის ბიჭუნას ბედს ვერ გადაწყვეტენ!

③

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს

„ასე არ არის თაყაო...“

③

ანუ ეგარეგოდეთ პაატას და მისნაირებს!

M - საგანგებო სიტუაცია განიმუხტა

②

განსაკუთრებული მადლობა მოსახლეობას მხარდაჭერისთვის!

ვენდობით თბილისის მერის სიტყვასა და დაპირებას!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ინიციატივა

⑥

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

რობერტ ერვანდიანი: „ჩვენ გვესმის მომავლის ნაბიჯები“...

④

საქართველომ დაამტკიცა, რომ ნატოს ძლიერი და ეფექტური პარტნიორია!

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის როუზ გიოტე-მიულერის თქმით, საქართველო ბევრს მუშაობს ნატოში გაწევრებისთვის და დაამტკიცა, რომ ძლიერი პარტნიორია.

„საქართველომ დაამტკიცა, რომ ნატოს ძლიერი და ეფექტური პარტნიორია, ამას ძალიან ვაფასებთ. ამავდროულად თქვენი ქვეყანა მიისწრაფვის ნატოს წევრობისკენ, ბევრს მუშაობს ამ მიმართულებით და ვიცი, რომ სამიტზე მხედველობაში მიიღებენ თქვენს ძალისხმევას და ილაპარაკებენ ჩვენ საითკენ უნდა წავიდეთ,“ — განაცხადა როუზ გიოტე-მიულერმა.

შეგახსენებთ, რომ ნატო ივლისის სამიტისთვის ემზადება, რომელიც ახალ შტაბბინაში გაიმართება. წევრ ქვეყნებს შორის დეკლარაციის ტექსტზე ბოლო კონსულტაციები მიმდინარეობს. ხვალ კი ალიანსის შტაბბინაში თავდაცვის მინისტერიალი გაიმართება.

საქართველო და უკრაინა დასავლეთის ნაწილია!

საქართველო და უკრაინა დასავლეთის ნაწილია, ისტორიიდან და ხალხის არჩევანიდან გამომდინარე, განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვეს მიჩელმა ვაშინგტონში ფონდ Heritage-ში გამოსვლისას. **„ჩვენ დასავლეთი უნდა განვიხილოთ, როგორც დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოება, რომელთაც ისტორია, კულტურა და საერთო მსხვერპლი გვაერთიანებს. მისი ზოგიერთი წევრი ძველი დემოკრატიის მქონეა, ზოგი — არა, ნაწილი ევროკავშირის წევრია, ნაწილი — არა. ზოგიერთი სუსტია, ზოგი — ძლიერი, ნაწილი გეოგრაფიულად დაცულია, ნაწილი — ღია.“** — განაცხადა მიჩელმა. მიჩელმა ასევე აღნიშნა, რომ წარსულში რუსეთი თავისი მეზბლების მიმართ აგრესიული პოლიტიკისთვის დასავლეთიდან სათანადო პასუხს არ იღებდა. მისი თქმით, ამის დრო დასრულდა და აშშ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას მეგობრებს და პრინციპებს მსხვერპლად არ შესწირავს. **„ჩვენ რუსეთს აგრესიისთვის მეტი უნდა მოვთხოვოთ, სანამ პრეზიდენტი პუტინი სხვა გზას არ აირჩევს.“** — განაცხადა მიჩელმა.

პრემიერი ტოჩინოშინს შეხვდა

გიორგი კვირიკაშვილმა ტოჩინოშინს უმასპინძლა. ლევან გორგაძე გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში იმყოფებოდა. ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს: **„პირველი ქართველი ოძეკი სამშობლოშია. ტოჩინოშინის გამარჯვებებით ქართველ და იაპონელ ხალხებს შორის სერიოზული ხიდი გაჩნდა. დღეს ის საქართველოს მთავარი სახეა იაპონიაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და იაპონიას დიდი მანძილი აშორებთ, ჩვენი ხალხების ხასიათში ბევრი საერთოა და განსაკუთრებულია ტოჩინოშინის როლი იაპონელი ხალხისთვის ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობაში. ქართველი ხალხის ასეთი ერთსულოვანი გულშემატკივრობა, როგორც ტოჩინოშინის შეჯიბრებების დროს გამოჩნდა, მართლაც უიშვიათესია.**

ლევანი ამბობს, რომ მისი გამარჯვებები დიდწილად მთელი საქართველოს მხარდაჭერისა და გულშემატკივრობის დამსახურებაა“.

მაღალი სინჯის შემოქმედი

ნანა ღვინეფაძის სტანდარტი

⑦

კობახიძის და უსუფაშვილის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა

გუშინ საქართველოს პარლამენის თავმჯდომარე ირაკლი კობახძე დახურულ კარს მიღმა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდა. უცნობია, რა საკითხზე მიმდინარეობს მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეების შეხვედრა.

დავით უსუფაშვილმა მედიას განუცხადა, რომ შეხვედრაზე ტექნიკური საკითხები თანხმდება, თუმცა რა თემაზე, მას არ დაუკონკრეტებია.

საგამოძიებო კომისიისთვის სამთვიანი ვადა საკმარისი იქნება შედეგის მისაღებად

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, საგამოძიებო კომისიისთვის სამთვიანი ვადა საკმარისი იქნება შედეგის მისაღებად. არჩილ თალაკვაძის განცხადებით, კომისიის მუშაობის პროცესში სტანდარტი იქნება დაცული და საზოგადოებას სრული ინფორმაცია ექნება.მან ასევე ისაუბრა „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებაზე და განმარტა, რომ პარტიის მიზანი პროცესების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება იყო.

თალაკვაძე აცხადებს, რომ კომისიის სხდომებზე ყველა ადამიანი მივა, ვისი ინფორმაციაც დაეხმარება მართლმსაჯულების განხორციელებას.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტში გუშინ დაამტკიცეს.

პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისია დაამტკიცა

95 მომხრე — 1 წინააღმდეგი. პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის შემსწავლელი დროებით საგამოძიებო კომისია დაამტკიცეს.

კომისიის შემადგენლობა 17 წევრით განისაზღვრა. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის შეთანხმებით, კვოტების მიხედვით, 6 ადგილი კომისიაში ეკუთვნის უმცირესობას თავისი ფრაქციებით, ერთი ეკუთვნის „პატრიოტთა ალიანსს“.

კომისიის შემადგენლობაში არ იქნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. კომისიას სერგი კაპანაძე უხელმძღვანელებს. „ქართული ოცნებიდან“ საგამოძიებო კომისიაში შედიან: **არჩილ თალაკვაძე, ეკა ბესელია, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი და სოფო კილაძე.**

საპარლამენტო უმცირესობიდან კომისიის შემადგენლობაში შევლენ: **სერგი კაპანაძე, რომელიც კომისიის თავმჯდომარე იქნება, ოთარ კახიძე, ელენე ხოშტარია, ირაკლი აბესაძე, სერგო რატიანი, ირმა ნადირაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ჩიქოვანი და გიგა ბოკერია. პატრიოტთა ალიანსიდან — ადა მარშანია და დამოუკიდებელი დეპუტატი — სალომე ზურაბიშვილი.**

ორდღიანი პატიმრობის შემდეგ რუსმა ოკუპანტებმა თემო დუდაშვილი გაათავისუფლეს

ორდღიანი პატიმრობის შემდეგ რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ხურვალეთის მკვიდრი თემო დუდაშვილი გაათავისუფლეს. ცხინვალის ციხიდან მისი გათავისუფლების პირობები უცნობია. დუდაშვილი გორის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს.

რუსმა ოკუპანტებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის მკვიდრი თემო დუდაშვილი გუშინ გაიტაცეს. გავრცელებული ინფორმაციით, დუდაშვილი მეზობელ სოფელ წითელუბანში საქონელს მწყემსავდა, რა დროსაც ის უზომოდ დააკავეს.

ოპოზიციის აქცია თუ... ჩიტირეკია ლეიბორისტების ქარიშხალი ჭიქაში?!

გაერთიანებული ოპოზიციის ერთობლივი, ფართომასშტაბიანი აქცია 10 ივნისს პარლამენტის შენობასთან 16:00 საათზე დაიწყება. აქციის ორგანიზაციულ ნაწილს „ლეიბორისტული“ პარტია უზრუნველყოფს. მიტინგის გამართვის ნებართვის მოთხოვნით დედაქალაქის მთავრობას სწორედ „ლეიბორისტები“ მიმართავენ.

მათი განცხადებით, პირველ ეტაპზე ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმეზე და ასევე პანკისში ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაღუპული თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე დამნაშავეების დასჯას ითხოვენ. მათივე მოთხოვნით, უნ-

და დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც გააყალბა მტკიცებულებები და ხელი დააფარა დამნაშავეებს.

ოპოზიციის განცხადებით, თუ 10 ივნისამდე დამნაშავეებს არ დასჯიან, აქციაზე სხვა მოთხოვნებიც გაჟღერდება.

„გაცვეთილი ფეხსაცმელების“ აქცია კანცელარიასთან

მთავრობის ადმინისტრაციასთან გაცვეთილი ფეხსაცმელების აქცია გაიმართა. მოძრაობა „ნუ მომკლავ!“ და საპროტესტო აქციების ახალგაზრდა წევრები ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის სწრაფ გამოძიებას ითხოვენ.

სიმბოლურ აქციაზე ახალგაზრდებმა განაცხადეს, რომ თუ საგამოძიებო უწყებები კვირის ბოლომდე ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამენ, მოქმედ მთავრობას ხალხი ისევე შეცვლის როგორც ფეხსაცმელებს.

ნაცზონდერი ზვიად კუპრავა „დალაი-ლამასაც“ მიწვდა!

ზვიად კუპრავა კიევის რეისით თბილისში გუშინ ჩამოფრიდა. მას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჟურნალისტები დახვდნენ და დაინტერესდნენ, თუ სად იმყოფებოდა, რისთვის და ჰქონდა თუ არა შეხვედრები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან: **„კიევში არ ვიყავი, ტრანზიტით ჩამოვედი, ტიბეტში ვიყავი, დალაი-ლამას შევხვდი. მისივე თხოვნით, სათავეში ვუდგები იქაური მემანქანეების გაფიცვას“,** — განაცხადა თბილისის აეროპორტში ზვიად კუპრავამ.

მთავრობამ კომერციული ბანკებისგან 40 მილიონი ლარი ისესხა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გუშინდელ აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 79 500 000 ლარი.

მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.250 პროცენტით, მაქსიმალური 7.390 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.346 პროცენტით განისაზღვრა.

განსაკუთრებული მადლობა მოსახლეობას მხარდაჭერისთვის!

მეტროპოლიტენის მუშაობის განახლებას დედაქალაქის მერი თბილისის მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა. როგორც კახა კალაძემ განაცხადა, მემანქანეებთან შეთანხმებას მიაღწიეს, რის შედეგადაც მეტროსადგურები გახსნილია.

თბილისის მერმა გაფიცულ მემანქანეებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ 2019 წლიდან თბილისის მერია მემანქანეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობას დაიწყებს. კალაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ავტობუსების მძღოლებს ამ დღეების განმავლობაში გაწეული მუშაობისთვის და ასევე მოსახლეობას. მერის თქმით, მისთვის მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელსაც ბოლო დღეების განმავლობაში გრძნობდა. კალაძემ პირობა დადო, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ„ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი მომავალი თაობებისთვის“.

„გაძლევთ პირობას, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი ჩვენი მომავალი თაობებისთვის,“ — განაცხადა კალაძემ.

ვენდობით თბილისის მერის სიტყვასა და დაპირებას!

ამის შესახებ აღნიშნულია „ერთობა 2013“-ის განცხადებაში: ისინი ემიჯნებიან ყოველგვარ პოლიტიკურ ძალებს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად მოქმედებენ.

„გვინდა, გავაკეთოთ განცხადება გაფიცული 240 მემანქანის სახელით. მოგეხსენებათ, გუშინ ჩვენ შევხვდით დედაქალაქის მერს კახა კალაძეს, რომელმაც მოისმინა ჩვენი მოთხოვნები, გაგვაცნო სატრანსპორტო კომპანიაში არსებული მდგომარეობა და თბილისის ბიუჯეტის შესაძლებლობები. მთავარი, რაზეც ორივე მხარე შევთანხმდით, იყო ის, რომ ჩვენი მხრიდან არ ყოფილა ცალსახად დაყენებული საკითხი ხელფასების დაუყონებლივ ზრდის შესახებ და ბატონი კახიც დაგვთანხმა, რომ თანამშრომელთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებაზე ზრუნვა მისი, როგორც თბილისის მერის ვალდებულებაა.

კახა კალაძის მხრიდან იყო დაპირება, რომ მომავალი წლიდან დედაქალაქის მთავრობა დაუბრუნდება ამ საკითხს და ერთობლივად განვიხილავთ შესაძლებლობებს, რათა გაუმჯობესდეს მემანქანეების შრომის ანაზღაურება.

ჩვენ გვქონდა დრო, რათა გვემსჯელა და გაგვეანალიზებინა შეხვედრის დეტალები და მივსულიყავით კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. პირველ რიგში, გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ ვენდობით თბილისის მერის დაპირებას და მის სიტყვას. ამასთან, რასაკვირველია, ვაცნობიერებთ თბილისის მოსახლეობის ინტერესებს და გვესმის, რომ ამ დღეების განმავლობაში ისინი მოკლებულები იყვნენ სწრაფი და მოხერხებული გადაადგილების საშუალებას. ამდენად, ჩვენ მზად ვართ, დღეს 14:00 საათიდან მეტროპოლიტენმა განაახლოს მუშაობა.

და ბოლოს, გვინდა, გამოვეხმაუროთ საზოგადოებაში გავრცელებულ დეზინფორმაციას, თითქოს ჩვენი პროტესტის უკან დგანან გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ პროცესების პოლიტიზებას. გვინდა, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ პოლიტიკურ ძალებს და ვმოქმედებდით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად“, — აღნიშნულია განცხადებაში. თბილისის მეტრომ მუშაობა განაახლა.

„ASE AR ARIS MIAYARO...“

ANU EBAREBODET PAATAS DA MISNAIREBS!

„..როცა ბოთლს გესვრიან, შენ უკვე აღარ ხარ პრემიერ-მინისტრი. რამდენ ხანს ჩაებღაუჭება სკამს და იქნება სკამის პრემიერი, ეს უკვე სხვა საკითხია!“ — ბრძნულად ამოუთქვამს კაი ხნის წინათ „გადაყენებული“ და მყარად დავიწყებული ერთ-ერთი საოჯახო პარტიის ლიდერს, ბ-ნ პაატას... (სააკაძეში არ შეგეშალოთ), ჩვეულებრივ დავითაიას!

...როცა ერაყში ჯორჯ ბუშს ფეხსაცმელი ესროლეს (და ეს იმ სამყაროში უდიდეს შეურაცხყოფად ითვლება), ბუშმა ნასროლი კი კოვბოის სიმკვირცხლით აიცილა, მაგრამ უმალვე დაუწერია განცხადება დაუყოვნებლივი გადადგომის შესახებ: ამ წუთიდან უკვე აშშ პრეზიდენტი აღარ ვარ, გადავდექი, სხვანაირად პაატა დავითაიას ვერ ჩავხედავო თვალებში...

არ გახსოვთ? ზუსტად(!) ასე იყო.

...პოლიტიკური რეალობის ლოგიკა იმას გვეუბნება, რომ კვირიკაშვილი ამ ვითარებაში შესაძლოა და, ალბათ, გადადგება კიდეც, მაგრამ ამ ნაბიჯს ვერ(!) და არ(!) გააკეთებს ასეთი ბრიყვული მოტივაციით; არც იმიტომ, რომ „დავითაიებს და კომპანიას“, ასევე, მავანის კმაყოფაზე მყოფ ექსპერტს, რედაქტორს თუ „პოლიტიკანებს“ აქვთ ასეთი „ხოში“.

კი, ბატონო, გადადგება (ჩემი ვარაუდით — ეს დროც მალე მოვა), მხოლოდ საქვეყნო ინტერესების, საზოგადოებრივი სტაბილიზაციისა და რეფორმატორული წინსვლის აუცილებლობის, პოლიტიკურ გუნდში რეალობის შეფასებებში და კრიზისის დაძლევის გზების არჩევისას კონცეპტუალურად(!) განსხვავებული პოზიციების გამო.

და ამ ურთულეს პერიოდში გაწეული ღვაწლისთვის, მას მადლობა უნდა ვუთხრათ ყველამ (!). ოღონდ, გულწრფელად!!! მით უმეტეს, ამ არეულობის „უთავო მოთავე“ შოთაძე გაისტუმრეს პატივისცემით და ტაშით და...

პირადად მე არაერთგზის მწვავედ გამიკრიტიკებია პრემიერი, მაგრამ არასოდეს დამვიწყებია, თუ პასუხისმგებლობის რა მძიმე ტვირთს ატარებს ის. თანაც, რა პირობებში!!!

უშეცდომო არავინაა, ბ-ნ პაატასა და მისნაირების გარდა... რომლებსაც არასოდეს უტარებიათ სწორედ ასეთი უმძიმესი ტვირთი. რომელთა „მოღვაწეობაში“ სანთლით საძებნია სწორედაც მსგავსი ვაჟკაცური ნაბიჯები, სხვას რომ მის გადადგმას მოუწოდებენ და უკიჟინებენ.

ისიც გულდაწყვეტით სათქმელია, რომ როცა წლობით, თანაც, პრეტენზიულად, ხარ პოლიტიკაში, უნდა დაიცვა სწორედ პოლიტიკური კულტურის სტანდარტი და ორღობის დედაკაცების ტერმინოლოგიით არ უნდა ისაუბრო... ამ შემთხვევაში, ადამიანურ და ყოფით კულტურაზე საუბარი ზედმეტია. მართლა გენიალურია ხალხური სიბრძნე: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი...



ასე რომ, ებარებოდეთ ბ-ნ პაატა დავითაიას და მისნაირებს!

ნუგზარ ფოფხაძე

PROKURATURAM TATUNASHVILIS SAKMEZE KVALIFIKACIA DAAMZIMA

საქართველოს პროკურატურამ არჩილ ტატუნაშვილის გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის და საქმის მასალების საფუძველზე, საქმეზე შეცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდება ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლებააღკვეთილი პირის წამების ფაქტზე, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

საქმე წამების მუხლით გადაკვალიფიცირდა

არჩილ ტატუნაშვილის მამამ გუშინ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ყველა კითხვაზე მიიღო პასუხი. მისივე თქმით, საქმე წამების მუხლით გადაკვალიფიცირდა.

„მაინტერესებდა, ცხვირზე და შუბლზე რა დაზიანებებიც იყო, ის რატომ არ იყო ჩაწერილი დასკვნაში. როგორც მითხრეს, ეს დაზიანებები არ იყო მიყენებული სიცოცხლის დროს. როგორც მითხრეს გადაკვალიფიცირდა საქმე წამების მუხლით. შსს თავიდან როგორც დამპირდა, რომ გვერდში დამიდგებოდა, ყველანაირად მიდგას გვერდში. გამოძიების ობიექტურობაში ეჭვი არ მეპარება“, — განაცხადა არჩილ ტატუნაშვილის მამამ.

SAD IYAVI ZAZA, RODESAC BUTAS KLAVDNEN, SANDROS KLAVDNEN, AR IYAVI AM KVEYANAZE?!

სად იყავი ზაზა, როდესაც ბუტას კლავდნენ, სანდროს კლავდნენ, არ იყავი ამ ქვეყანაზე?! — ამ განცხადებით, თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამას ზაზა სარალიძეს, ბუტა რობაქიძის მამამ სოსო რობაქიძემ მიმართა.

თბილისში მიმდინარე აქციებზე რობაქიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსში“ ისაუბრა. რობაქიძე ამბობს, რომ სარალიძე წაგებული დარჩება, თუ კვლავ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას შეუერთდება.

„კაცურად დარჩები ცუდი კაცი, თუ ჩვენთან არ მოხვალ და გვერდით არ დაგვიდგები. ამათთან ერთად შენ ვერ მოიგებ. ჩვენ გაპოვნინებთ სამართალს და თუ საჭიროა, შევეწირები შენი შვილის ამბავს. ზვიად კუპრავა ზონდერია. ყველა, ვინც მანდ მოდის, ზონდერია. გუშინ დავინახე, გურამ დონაძე მისულა იქ, რა უნდა უთხრას დონაძემ ვინმესს?!“, — აღნიშნა სოსო რობაქიძემ.

UVARGISI ADAMIANEBI OTXI WLIS BIJUNAS BEDS VER GADAWYVETEN!

SAQARTVELOS PREZIDENTS, BATONI GIORGI MARGVELASHVILS

რამდენიმე თვის წინათ პატარა ბიჭისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე მოგმართეთ. ვინაიდან ეს ღია წერილია, მკითხველი ბავშვის ისტორიაში ნათლად უნდა ერკვეოდეს — მოკლედ, ამბავი ასეთია:

დანიელ ულიანოვს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, დაბადებულს რუსეთში 2013 წ., ვზრდით ჩვენ: მისი ბებია (ჩემი მეუღლე) ელიკო გვაძაბია; მე (ბაბუა) მალხაზ ჟვანია; ჩვენი ოჯახის ნათესავ-მეგობრები: დანიელის დედის ქრისტინე რაქვიაშვილის მამიდა; დანიელის ნათლია და სხვები.

ბავშვის საქართველოში ჩამოყვანა — „გადმოსახლება“ რამდენიმე მიზებით იყო განპირობებული: დანიელის მშობლები გაყრილები არიან — ერთად არ ცხოვრობენ; დედა 15-საათიანი სამუშაო დღის მიზეზით ვერ ახერხებდა შვილის მოვლა-პატრონობას — ნორმალურ აღზრდას. ბავშვისთვის, ყოველმხრივ, მეტად საზიანო ვითარება გადაუდებლად უნდა შეცვლილიყო. ამრიგად, დანიელი 2015 წ. 17 ივნისიდან, მუდმივად საქართველოში იმყოფება, ქართულ საბავშვო ბაღში დადის, მისი მშობლიური ენა ქართულია, ხოლო საყოფაცხოვრებო პირობები უნაკლოა.

ამ წლის დასაწყისში მოგმართეთ განცხადებით, რათა დანიელ ულიანოვს მინიჭებოდა საქართველოს მოქალაქეობა. განცხადებას დაერთო, კანონით გათვალისწინებული ყველა საბუთი: მისი მშობლების მინდობილობები, თანხმობები, დაბადების მოწმობები, რეკომენდაციები, აღწერილი იყო მისი ისტორია და სხვა... ყველა რუსულენოვანი საბუთი იყო თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული — ნათელი იყო, რომ დანიელი სრულად ჩვენზე არის მობარებული. 10 მაისს, მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ უარი განაცხადა — მცირეწლოვანი ბავშვის შველა-გადარჩენის აუცილებლობა უარყო!

რთულ ცხოვრებაგამოვლილი თითქმის, არაფერს უნდა გავეკვირვებინე და, მით უმეტეს, გავეღიზიანებინე... მოქალაქეობის საკითხთა კომისიამ ეს მოახერხა... — ექვსივე წევრმა საქართველოს კონსტიტუციაში ბავშვისთვის ხიფათის აცილების, მისი არსებობის რადიკალურად გაუმჯობესების აუცილებლობა ვერ დაინახა, ვერ მოიაზრა. სხვა საკანონმდებლო აქტებზე აღარ ვლაპარაკობ, ვინაიდან კომისიის პრიმიტიული, ფორმალური მიდგომა თავიდანვე აშკარა იყო. ამისთვის ერთი მაგალითიც კი საკმარისია: „...გათვალისწინებული პირობების არსებობის დადგენის მიზნით, კომისიამ გადაწყვიტა, გასაუბრებაზე დაიბაროს დანიელ ულიანოვი.“(?!). კომისიის ექვსივე წევრმა ოთხი წლის ბიჭთან დაკითხვა-საუბარს ერთხმად კენჭი უყარა! რასაკვირველია, დანიელის მაგივრად მე გამოვცხადდი და აღმოვაჩინე, რომ კომისია ცუდად, უვარგისად, გაეცნო ბავშვის საქართველოში ჩამოყვანის წინაპირობებს — ადრე წერილობით ჩამოყალიბებული დასაბუთებების თავიდან, ზეპირად გამეორება მომიხდა! ამრიგად, „რთული და შრომატევადი მუშაობის“ სამი თვის თავზე, კომისიამ, ერთხმად, უარყოფითი დასკვნა გამოიტანა.

ბატონო პრეზიდენტო, მშრალი, კაზუისტური ფორმულირებების მიღმა, დამეთანხმეთ, არსებობს ზნეობა და ყოველივე რაც, ერთდროულად, ეროვნული მენტალობის ნაწილიცაა და ზოგადად კაცობრიობის მონაპოვარიც.

შემეძლო, კომისიის წევრებისთვის, მეთქვა: „ოთხი წლის ბავშვის პრევენციული შველა ჰუმანურობაა, მისი (როგორც სამომავლოდ, ღირსეული მოქალაქის) უვნებლობის წინასწარ განეიტრალება-გამყარება, სახელმწიფოს ინტერესებშია ამასთანავე დამეთანხმეთ, რომ კონსტიტუციაში ნახმარ ტერმინ-ფორმულირებას „საგამონაკლისო წესი“ დანიელის სიტუაცია მკაფიოდ ესადაგება. თქვენი დადებითი გადაწყვეტილება, პრეზიდენტისთვის ხომ მხოლოდ რჩევა იქნება — ჰუმანური რჩევა...“. ეს ყველაფერი არ მითქვამს, ვინაიდან ცხადი იყო რომ ჩემს წინ პლაცებო-ადამიანთა გუნდი იჯდა...

პლაცებო (ლათინ. Placebo, პირდაპირი მნიშვნელობით — „სასურველი ვიქნები, მოვეწონები“) — ფარმაცევტული ნივთიერება ყოველგვარი სამკურნალო თვისებების გარეშე — ე.წ. „მატყუარა, უვარგისი აბი“.

ბატონო პრეზიდენტო, კარგად მესმის, რომ თქვენი ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოვალეობაა, გაარჩიოს, გაფილტროს შემოსული საბუთები. თუ ის მოხელე, ვისაც საქმე აქვს მოქალაქეობის საკითხთა კომისიასთან, მხოლოდ ერთ სიტყვაზე („დადებითი“ ან „უარყოფითი“) ამახვილებს ყურადღებას და იმისდა მიხედვით, თუ ამ ორიდან რომელს ხედავს, აწყობს შემოსული საბუთების დასტას მარჯვნივ ან მარცხნივ — ასეთი მოხელეც უბრალოდ 7პლაცებო-ადამიანია, მაგრამ სავსებით ბედნიერი არსება — საკუთარ შეზღუდულობას ვერ ხვდება და, ამავე დროს, ნეტარებს, რომ სამსახურში მშვენივრად მოუწყვიათ...

პატივცემულო ბატონო გიორგი, იმედს გამოვთქვამ, რომ ეს თქვენდამი მომართვა ზედმეტი არ არის, შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

პატივისცემით,
მალხაზ ჟვანია,
(თბილისი, ლეო ქიაჩელის 20. მობ. 555332639 ან 593998115)

OKUPIREBULI APXAZETSHI KAJIMBAS GADADGOMAS ITXOVEN

ოკუპირებულ აფხაზეთში ოპოზიციურმა პარტიამ „ამცარარამ“ ე.წ. პრეზიდენტს ღია წერილით მიმართა და გადადგომა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები დააანონსა.

ოპოზიცია რაულ ხაჯიმბას კორუფციასა და წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. მათი განცხადებით ოკუპირებული რეგიონის ე.წ. პრეზიდენტმა ვერ ჩამოაყალიბა ქმედითუნარიანი მთავრობა, არ გაატარა დაპირებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რამაც აფხაზეთის მოსახლეობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაამძიმა.

რობერტ ერვანდიანი:

„ჩვენ გვესმის მომავლის ნაბიჯები“...

ომისა და მშვიდობის საკითხები ჩვენს უაღრესად დაძაბულ დროში, როცა ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული რეგიონული კონფლიქტი შესაძლოა, არა მარტო სრულმასშტაბიან ომში, არამედ მსოფლიო ბირთვულ კატასტროფაშიც კი გადაიზარდოს, ეს პრობლემა საზოგადოების მოწინავე ნაწილისგან მაქსიმალურად აქტიურ, ეფექტიან მოქმედებებს მოითხოვს, რომლებიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის მეგობრობის ხიდების გადებას, ყოვლისმომცველი კონტაქტების დამყარებას გულისხმობს. ამ ღონისძიებათა მიზანს, პირველ ყოვლისა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაძაბულობის მოხსნა და პირდაპირი დიალოგის გამართვა უნდა წარმოადგენდეს.

ცოტა ხნის წინათ საქართველოში შექმნილი არაკომერციული ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“, რომლის აქტუალობაზე მისი სახელწოდებაც კი მეტყველებს, სულ უფრო მეტ მომხრეს იხვეჭს როგორც თავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ასევე ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში. დღევანდელი ჩვენი სტუმარია ცნობილი რელიგიური მოღვაწე, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (LMU) პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი **რობერტ ერვანდიანი**.

— ხალხების დამაკავშირებელი სავალი გზები შორეულ წარსულშიც იყო, ისინი, რაღა თქმა უნდა, დღესდღეობითაც იჭრება. მაგრამ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა მეურნეობას, მათაც საგულდაგულო მოვლა-პატრონობა, განსაკუთრებული, მაქსიმალურად კომფორტული მოწყობა სჭირდებათ და ეს უაღრესად კეთილშობილური ამოცანა, უწინარესად, ახალგაზრდობის გადასაჭრელია, — ამბობს ღვთისმეტყველი მეცნიერი. — ეს, პირველ ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ახალგაზრდობა, თავისთავად, ნებისმიერი საზოგადოების ყველაზე მობილური, წარსულის შეცდომებით დაუმძიმებელი ნაწილია. ეს, განსაკუთრებით, ელიტურ ახალგაზრდობას, მის ყველაზე განათლებულ ნაწილს ეხება, რომელსაც უნარი აქვს, და ვალდებულია კიდეც, ის მამოძრავებელი ძალა გახდეს, რომელიც ერს მშვიდობიანი, მტრობას მოკლებული მომავლისკენ გასწევს. სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდობას, ისევე, როგორც ევროპელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს არ სურთ ომი, ვინაიდან მათი მიზნებისა და მისწრაფებების ფრთაშესხმისათვის პირველ რიგში საჭიროა მშვიდობა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამა თუ იმ შეიარაღებულ დაპირისპირებაში ყველაზე მეტი უბედურება და ტანჯვა სწორედ ახალგაზრდობის წილად მოდის. ყველაზე მეტად კი ეს მისი განსაკუთრებული დაუცველობის გამო ხდება, როცა ერთიანად ნათელი მომავლის მქონე ახალგაზრდები მოულოდნელად მომაკვდინებელი ცეცხლის ხაზზე აღმოჩნდებიან. ჩვენ, უფროს თაობას, კარგად გვესმის, რომ ქვეყნის ახალგაზრდობა — საქართველოშიც, სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც — დაიღალა ომებისგან და სწორედ ამიტომაცაა, რომ მისი მოწოდებები მშვიდობისკენ, კეთილმეზობლური თანაარსებობისკენ, დახმარების მთხოვნელი ძახილის ტოლფასია. ომიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კი ბედნიერი მომავლის იმედის უდიდეს ნაწილს კარგავს...



ცოტა ხნის წინათ საქართველოში შექმნილი არასამთავრობო არაკომერციული საზოგადოების „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ დიდად ჰუმანური მიზნები არც გერმანიის ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილს ტოვებს გულგრილს. ამასთან, საჭიროა გარკვეულწილად მიმართული მოღვაწეობა საიმისოდ, რომ სათანადო დახმარება გაეწიოს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდობასთან ქმედითი საქმიანი კონტაქტების დამყარებას. პირადად მე, როგორც გერმანიის წარმომადგენელი, მაქსიმალურ ღონეს ვიხმარ საიმისოდ, რომ პროექტი „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ არ იქცეს ფიქციად, არ დარჩეს მარტო ქაღალდზე, ანდა ხატოვანი პლაკატების სერიაში. ამიტომაც მინდა, დავლოცო გერმანიის ახალგაზრდობის ნაწილის, კერძოდ კი LMU-ს, ასევე ლაიფციგის, ფრაიბურგისა და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების ის კეთილშობილური მისწრაფებები, რომლებიც ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობაზეა გათვლილი და ყოველგვარი ხელშეწყობა აღვუთქვა მათ.

დასახული მიზნის — **მშვიდობა ყველა კავკასიურ სახლს!** — მიღწევა ხომ დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, ექნება თუ არა საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა არა პოლიტიკოსებს, არამედ ახალგაზრდობას!

მტკიცედ მწამს იმისაც, რომ გერმანია, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, აქტიურად დაუჭერს მხარს მოძრაობას „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“.

— თქვენ სავსებით სამართლიან კითხვას სვამთ ასე მნიშვნელოვანი საერთაშორო პროექტის დაფინანსების წყაროების თაობაზე. პასუხი მარტივია — კერძოდ: როცა საქმე ეხება ისეთ საკაცობრიო მნიშვნელობის პროექტს, როგორიცაა „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ და არა რაღაც შემთხვევით, სპეკულაციურ პროგრამას, მერწმუნეთ, მრავლად მოიძებნებიან (და ისინი უკვე არიან!) სოლიდური, ავტორიტეტული სპონსორები, რომლებიც მთლიანად, დიდი სიყვარულით დაუჭერენ მხარს მშვიდობისადმი ახალგაზრდობის მისწრაფებას.

მესმის, რომ ჩემმა სიტყვებმა, შესაძლოა, გარკვეული სკეპტიციზმი გამოიწვიოს. მაგრამ, ჩემი აზრით, საკმაოდ წონადი არგუმენტის სახით შემიძლია, ვთქვა, რომ ამჟამად, როცა ევროპის დიდი ნაწილი წალეკა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან წამოსულ არალეგალთა უმძლავრესმა ემიგრანტთა ტალღამ, ევროპისა და მის მიმდებარე რეგიონებში, მათ შორის, ცხადია, სამხრეთ კავკასიაში, ნებისმიერ სამხედრო დაპირისპირებებს ლტოვლილთა ახალი ნაკადები მოჰყვება, რაც, რაღა თქმა უნდა, უზარმაზარ დამატებით პრობლემებს წარმოშობს.

ამიტომ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით და ღვთის შეწევნით, ჩვენ შევძლებთ წაღმა შევატრიალოთ კავკასიაში დაპირისპირებათა პროცესი, მყარი, ჯანსაღი საძირკველი ჩავუყაროთ ჩვენი ერების განვითარებასა და კეთილდღეობას.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

◎ ალოობა

ხორბლის ფასი კახეთში პროტესტის მიზეზი ხდება

კახეთში ალოობა ფერმერების უკმაყოფილების ფონზე იწყება. დედოფლისწყაროსა და სიღნაღში მცხოვრები ფერმერების ნაწილი ამბობს, რომ 1 კილოგრამ ხორბალში წელს 37-38 თეთრს სთავაზობენ, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელია. ისინი სპეციალურ წერილს ამზადებენ, რომლითაც აპირებენ მიმართონ მთავრობის მეთაურსა და შესაბამის უწყებებს, რათა სახელმწიფომ დარგის განადგურების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. რა უნდა ღირდეს ერთი კილოგრამი ხორბალი, რომ ფერმერი მოგებული დარჩეს და დარგიც განავითაროს?

წელს კახეთში მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალია. ახლა ქერს იღებენ, რამდენიმე კვირაში კი ხორბლის დაბინავება დაიწყება. ფერმერებმა უკვე იციან ფასი, თუ რა ეღირება ერთი კილოგრამი ხორბალი. დედოფლისწყაროელი და სიღნაღელი ფერმერების ნაწილი ამბობს, რომ **ერთ კილოგრამ ხორბალში წელს 37-38 თეთრს სთავაზობენ, რაც მათთვის არასასურველი ფასია**. ფერმერები, რომლებმაც ჩვენთან ილაპარაკეს, საკუთარი ვინაობის დაუსახელებლად თქვეს, რომ თუ ხორბლის ფასი არ გაიზარდა, გაწეულ ხარჯებს ვერ დაფარავენ. ერთ-ერთი სიღნაღელი ფერმერი ფასის ხელოვნურ დაწევაზე მიუთითებს და მაგალითად ასახელებს იმას, რომ ხორბალს რეალურად წისქვილკომბინატები ყიდულობენ, თუმცა შუამავლების მეშვეობით, ისინი კი მათ დაბალ ფასს უხდიან, ხოლო მაღალ ფასად თავად აბარებენ კომბინატებს.კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი ფერმერი, რომელიც ვინაობის გაუმხელად გველაპარაკა, ამბობს, რომ, თუ სახელმწიფო ამ დარგს ყურადღებას არ მიაქცევს, შესაძლოა, მარცვლეულის მოყვანაზე, უბრალოდ, უარი თქვას. მისი განცხადებით, თუკი ფასის დარეგულირება თავისუფალი ბაზრის პრინციპით შეუძლებელია, მაშინ, ყურძნის მსგავსად, დარგის სუბსიდირება უნდა მოხდეს. ფერმერი ამბობს, რომ ლარის გაუფასურების შემდეგ მომატებულია საწვავისა და მექანიზაციის მომსახურების ფასი, რამაც მარცვლეულის თვითღირებულება გაზარდა:

„თუ ამერიკაში, ყველაზე ლიბერალურ ქვეყანაში, სახელმწიფო წინასწარ ადგენს ფასებს, ჩვენთან რატომ არაა ასე, უკეთესი ეკონომიკის ქვეყანა ვართ?! მოსავალი კარგია და ფერმერს ის უხარია, რაც უფრო მეტი ფასი ექნება ხორბალს. ამით მეტ მოგებას ნახავს და, შესაბამისად, წარმოებას განავითარებს, გააფართოებს. სასურველი ფასია 50 თეთრი. თუ ადგილობრივ მეწარმეებს გადახდის მეტი საშუალება არა აქვს, მაშინ, როგორც ყურძნის შემთხვევაშია, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ ფასის აწევა 50 თეთრამდე. ეს იქნება ყველაზე მისაღები. აქ დიდ თანხებზე არ არის ლაპარაკი“.

ხორბალი უნდა იყოს აყვანილი სტრატეგიული პროდუქტის სიმაღლემდე, უნდა მოხდეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება მარცვლეულის წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით...

ხორბლის ფასით უკმაყოფილო ფერმერები სიღნაღის მუნიციპალიტეტში ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ოფისში შეიკრიბნენ და პრობლემის გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ირინა ფხოველიშვილის თქმით, მთავრობის მეთაურისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მზადდება მიმართვა, სადაც ფერმერებს კონკრეტული მოთხოვნები ექნებათ ჩამოყალიბებული.

რა პოზიცია ექნება მთავრობის მეთაურს ფერმერების მოთხოვნებზე, ეს, სავარაუდოდ, მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც მას ოფიციალური წერილით მიმართავენ. მანამდე კი სიღნაღის მერს გიორგი გოგილაშვილს, ვკითხეთ, რა იცის ადგილობრივთა გასაჭირის შესახებ და რას გააკეთებს მათ დასახმარებლად, მაგრამ მერმა მოუცლელობის მიზეზით დღეს ამ თემაზე ლაპარაკი არ ისურვა.

კახელი ფერმერების ნაწილი არ გამორიცხავს, რომ, თუ დარგის განვითარებისთვის კონკრეტული ნაბიჯები არ გადაიდგა და ხორბლის ფასი 50 თეთრამდე მაინც არ გაიზარდა, საპროტესტო აქციები გამართონ.

გიორგი ალადაშვილი

დამოუკიდებლობის ტესტი საქართველოს საპატრიარქოსთვის

ილია მეორისა და საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საძმეში.

როგორც ცნობილია, ორი თვის წინათ უკრაინის უმაღლესმა რადამ მსოფლიო პატრიარქს ოფიციალურად მიმართა თხოვნით, კიევის საპატრიარქოს ავტოკეფალია აღიაროს. ახლა ყველა ბართლომეოს პირველის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

მალევე გააქტიურდა რუსული ეკლესია, რომლის დაქვემდებარებაშიც უკრაინული ეკლესია ამ დრომდე იმყოფება. მოსკოვი მართლმადიდებელ სამყაროში მოკავშირეების მობილიზებას ცდილობს იმ იდეის ირგვლივ, რომ რუსულისგან უკრაინული ეკლესიის გამოყოფას მხარი არ დაუჭირონ.

პატრიარქ კირილის ნდობით აღჭურვილი პირი – რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი) თანმხლებ პირებთან – მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების განყოფილების მდივანთან, დეკანოზ იგორ იაკიმჩუკთან და განყოფილების თავმჯდომარის რეფერენტ ა. ერშოვთან ერთად თბილისში ერთდღიანი ვიზიტით ილია მეორესთან სწორედ ამ საკითხზე მოლაპარაკებისთვის ჩამოვიდნენ.

„სტუმრობის მიზანი იყო უკრაინის ეკლესიის გარშემო ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან რუსეთის ეკლესიის პოზიციის გაცნობა“, – ვკითხულობთ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც ასე მთავრდება: **„უახლოეს პერიოდში ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიას ეწვევა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლობა“.**

4 ივნისსვე მოსკოველ სტუმრებთან ორსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ილია მეორე ბოდბეში, ქორეპისკოპოს იაკობთან ჩავიდა. თუმცა ბოდბელ ეპისკოპოსს ამის შემდეგ განმარტებები არ გაუკეთებია.

მოგვიანებით ამ თემაზე გარკვეული განმარტებები გააკეთა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა: **„უკრაინის ადგილობრივი ეკლესია სთხოვს მსოფლიო საპატრიარქოს, როგორც პირველ ეკლესიას, რაიმე ზომები მიიღოს და დაეხმაროს უკრაინას ამ დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამასთან დაკავშირებით რუსეთის საპატრიარქოს თავისი პოზიციები გააჩნია. ამიტომ ბრძანდებოდა მიტროპოლიტი ილარიონი თბილისში. მსგავსი კონსულტაციები გაიმართება მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელთანაც, თუმცა მათგან შეტყობინება ჯერ არ მიგვიღია“,** – განაცხადა მიქაელ ბოტკოველმა და დასძინა, რომ „საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია უკრაინის ეკლესიის ურთულეს საკითხზე მოზომილი იქნება“:

„...მოზომილი და ისეთი, როგორც ეკლესიები შეთანხმდებიან. რთული საკითხია, რასაც უკრაინა ითხოვს. ამას კანონიკური ნორმები განსაზღვრავს და ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობა რთული იქნება“.

თეოლოგებს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ლევან აბაშიძე თვლის, რომ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის შესაძლო აღიარება საქართველოს მოსკოვის მიერ აფხაზური და ოსური ეკლესიების ან აღიარებას, ან მიერთებას უქადის: **„თუ ჩვენ შევედით სერიოზულ კონფლიქტში რუსეთთან, ხოლო უკრაინის ეკლესიის აღიარების შემთხვევაში ეს ნამდვილად სერიოზული კონფლიქტი იქნება, მაშინ არათუ გამორიცხული არ არის, სავარაუდოც კია, რომ რუსეთი ან აღიარებს, ან მიიერთებს აფხაზეთისა და ცხინვალის ეკლესიებს“.**

სწორედ ამითაა, მისი აზრით, გამოწვეული ის, რომ ჩვენი ეკლესია ამ საკითხში ფრთხილი და, როგორც მიქაელ ბოტკოველმა ბრძანა, „მოზომილი“ პოზიციის დაკავებას გეგმავს.

თუმცა სასულიერო აკადემიის პროფესორი **გოჩა ბარნოვი** ამ შიშებს არ იზიარებს და „რუსულ ნარატივად“ მიიჩნევს: **„მიმაჩნია, რომ მოსაზრება, რომელსაც რატომღაც ხანდახან ზოგიერთები აჟღერებენ, თითქოს ქართული მხარის მიერ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება აფხაზური და ოსური ეკლესიების აღიარებას გამოიწვევს, სხვა არაფერია, თუ არა რუსული ნარატივი“.**

„ამ საკითხში „მოზომილი“ პოზიციის დაკავება ამჯერადაც რუსეთის საპატრიარქოს ინტერესების გატარებას ნიშნავს“

„მოზომილი პოზიცია“ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საპატრიარქო საგარეო ასპარეზზე, ისევე, როგორც ბოლო 25-30 წლის მანძილზე, ამჯერადაც გაატარებს რუსეთის საპატრიარქოს ინტერესებს“, – თვლის თეოლოგი **ბექა მინდიაშვილი.**

„რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას მან ამ კონტექსტში ეკუმენური საბჭოებიდან გამოსვლა, მსოფლიო საეკლესიო კრების ჩაშლის მცდელობა, ზოგადად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ინტერესებისადმი წინააღმდეგობა გაიხსენა და ილარიონ ალფეევის ის სიტყვებიც მოიშველია, რომლებიც სკანდალურ საიტ „ვიკილიქსზე“ მასალების გამოქვეყნების წყალობით გახდა ცნობილი: „რუსეთის საპატრიარქო რუსული სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი ინსტრუმენტიაო“.

„ახლაც არ არის არანაირი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საპატრიარქო წავა მოსკოვის საპატრიარქოს ინტერესების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში არაერთხელ დაისვა აღიარების საკითხი როგორც უკრაინის ხელისუფლების, ასევე კიევის საპატრიარქოს მხრიდან. უარს საქართველოს საპატრიარქო იმით ამართლებს ხოლმე, თითქოს ამ წინააღმდეგობის შემდეგ რუსეთის საპატრიარქომ შეიძლება, საქართველოს წინააღმდეგ გადადგას ნაბიჯი და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე არსებული, სქიზმაში მყოფი თემები ან აღიაროს, ან მიიერთოს... თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთი სრულად აკონტროლებს ორივე საეკლესიო თემს და, შესაბამისად, მოსკოვის საპატრიარქოს ქცევა მხოლოდ ფორმალური არაღიარებაა და სხვა არაფერი“, – ამბობს მინდიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საპატრიარქოს დელეგაცია თბილისში ბოლო ხუთი თვის განმავლობაში უკვე მეორედ ჩამოდის. ამჯერად ვიზიტს წინ უსწრებდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ თბილისში ოფიციალური წარმომადგენლის მოვლენა, რომელიც საქართველოში მინიმუმ, ერთი წლის განმავლობაში დარჩება: დეკანოზი ვლადიმირ ალექსანდროვი ამიერიდან საქართველოში პატრიარქ კირილის ოფიციალური წარმომადგენელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ილია მეორესთან 4 ივნისის შეხვედრას ისიც ესწრებოდა. ქართული ეკლესიის მხრიდან კი მასზე პატრიარქის გარდა, მისი მოსაყდრე – მიტროპოლიტი შიო და თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე იმყოფებოდნენ.

„აქცენტი“

საქართველოს მთავრობამ და ყაზბეგის განვითარების ჯგუფმა სოფლის პრიორიტეტებზე იმსჯელეს

სტეფანწმინდაში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ, სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებმა და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის წევრებმა სოფლის განვითარების პრიორიტეტებზე და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. შეხვედრა ორგანიზებული იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამასთან და „ფიფლ ინ ნიდ“ წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით.

სამინისტროს წარმომადგენლებმა ყაზბეგის განვითარების ჯგუფს სოფლის განვითარების ახალი კონცეფციის დანერგვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესზე ინფორმაცია გაეცნეს და მათი მოსაზრებები და წინადადებები მოისმინეს. ყაზბეგის განვითარების ჯგუფი ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მხარდაჭერით, ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN) სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა და ერთ-ერთია საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ადგილობრივი განვითარების რვა ჯგუფიდან. შეხვედრაზე მონაწილეებმა იმ სახელმწიფო პროგრამებსა და ინიციატივებზე იმსჯელეს, რომელთა მიზანია სოფლის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირებით, სოციალური და საჯარო სერვისების გაუმჯობესებით, დასაქმების ზრდისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვისა და სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხებს, სოფლის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის, საჯარო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას.

ზურაბ პატარაძე ქობულეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ ქობულეთში გელაურისა და კარიერის დასახლებებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. მიმდინარე სამუშაოებს ქობულეთის მერი მირიან ქათამაძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნაკაიძე და სხვა ხელმძღვანელი პირები გაეცნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს კარიერის დასახლებაში, ფიროსმანის და ლეონიძის ქუჩებზე. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე არხები, ბორდიურები, ტროტუარებსა და გზის სავალ ნაწილზე დაიგო დეკორატიული ფილები. გასულ წელს დასახლებაში მოეწყო მიწისქვეშა კომუნიკაციები. ქუჩების კეთილმოწყობა გრძელდება ასევე გელაურის დასახლებაში. სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს აჭარის, თხილაიშვილისა და წერეთლის ქუჩებზე. სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დამონტაჟდება.

გელაურის დასახლებაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რამდენიმე წელია, ეტაპობრივად მიმდინარეობს. გასულ წლებში დასახლებაში მოეწყო მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა, ახალი საკანალიზაციო სისტემით 500 ოჯახი სარგებლობს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა პოპოვის, ვაჟა-ფშაველასა და პუშკინის ქუჩებს, ასევე მოეწყო მინი სპორტული მოედანი. კარიერისა და გელაურის დასახლებებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში 3 600 000-მდე ლარი დაიხარჯება. 2018 წელს ქალაქ ქობულეთში ქუჩების რეაბილიტაციისთვის ჯამში 7 311 128 ლარია გათვალისწინებული. კეთილმოეწყობა 10 ქუჩა. ქუჩები შშმ პირებისათვის ადაპტირებული იქნება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

Ა�გᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲝᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული სხდომის №15 დადგენილების თანახმად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა ტექნიკური უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე უკვე მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნის შემდეგ, სახელმწიფოსაგან განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციის შედეგად, ჩამოყალიბდა სრულფასოვან და მაღალხარისხიან განათლების კერად, რომელიც 2016 წლიდან განთავსებულია გურამიშვილის გამზ. №17-ში მდებარე იზოლირებულ ხუთსართულიან შენობაში. საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად დარგობრივი მიმართულებით სწავლებისათვის შენობა აღჭურვილია კეთილმოწყობილი თანამედროვე სტანდარტების სასწავლო-სამეცნიერო 32 სხვადასხვა ლაბორატორიით. ფაკულტეტებზე ხორციელდება როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი (1. Viticulture and enology, 2. Agronomy) საგანმანათლებლო პროგრამები. ბაკალავრიატის რვა პროგრამიდან შვიდი სახელმწიფოს მხრიდან სრულადაა დაფინანსებული.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის(ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამებია:

აგრარული ტექნოლოგიები შეასწავლის — მევენახეობის, მეხილეობის, მინდვრისა და სასათბურე კულტურების წარმოებისათვის კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად უვნებელი პროდუქტების წარმოებასა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარული კულტურების მავნებელი დაავადებებისა და სარეველების გავრცელების პროგნოზირებასა და მათი მოქმედების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებას აგრარულ ტექნოლოგიებში — დაფინანსებულია 100%-ით.

სასურსათო ტექნოლოგია შეასწავლის — პურპროდუქტების, საკონდიტრო, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის პროდუქტების საკონსერვო წარმოებას, სასურსათო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ სქემებს, წარმოებისას მიმდინარე ფიზიკო-ქიმიურ, ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ პროცესებს და მათ ანალიზს, სურსათის ხარისხის კონტროლისა და ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდებს, სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული სხვადასხვა წარმოების ძირითადი და დამხმარე ნედლეულის შენახვისა და ტექნოლოგიური პროცესებისათვის მომზადების რეჟიმისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას — დაფინანსებულია 100%-ით.

სატყეო საქმე შეასწავლის — ტყემცოდნეობა-მეტყევეობის, ლანდშაფტის დიზაინის, ტყეების ინვენტარიზაციისა და სატყეო მეურნეობის მართვას, ხეტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიის განხორციელებას, ტყის არამერქნული რესურსების აღრიცხვისა და რაციონალური გამოყენების პრინციპების პრაქტიკულად რეალიზებას, ეკოტურისტული და სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციასა და მართვას, ჩარხდანადგარებთან უსაფრთხო მუშაობაზე ზედამხედველობას — დაფინანსებულია 100%-ით.

აგროინჟინერია შეასწავლის — სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებასთან დაკავშირებული მორწყვისა და დაშრობის თანამედროვე წესებსა და მეთოდებს. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შერჩევა-დაკომპლექტებას, ფერმერულ მეურნეობებში სერვისის თანამედროვე ფორმების გამოყენებას, ტექნოლოგიურ-ნაკადური ხაზების მონტაჟს, დიაგნოსტიკას, ოპერატორულ და საექსპლოატაციო მომსახურებას — დაფინანსებულია 100%-ით.

მეცხოველეობა შეასწავლის — ცხოველთა და ფრინველთა კვების, რეპროდუქციის საკითხებს; მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიებს; პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისი პროცესების მართვის სფეროს — დაფინანსებულია 100%-ით.

აგრონომია შეასწავლის — სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების წესებს, სარეველა მცენარეების გავრცელების მდგომარეობას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, მიწათმოქმედების სისტემას, როგორც აგროტექნიკური, მელიორაციული და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპლექსს, აგრონომიის, ნიადაგმცოდნეობის, მემცენარეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მცენარეთა დაცვის, საკვებწარმოების, მცენარეთა სელექცია-გენეტიკის, ორგანული სოფლის მეურნეობისა და აგროეკოლოგიის საკითხებს — დაფინანსებულია 100%-ით.

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია შეასწავლის — აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტებას, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლოატაციისა და რეგულირების პროცესში რისკ-ფაქტორების გათვალისწინებას, ბუნებრივი წყლების კლასიფიკაციას და წყლის ხარისხის შემოწმებას, ასევე მონიტორინგის განხორციელებას, ინჟინერიაში დიდი მოცულობის მქონე მონაცემთა ანალიზზე და შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილების შერჩევაზე ორიენტირებულ მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებას და პრაქტიკაში გამოყენებას — დაფინანსებულია 100%-ით.

აგრობიზნესის მენეჯმენტი შეასწავლის — აგრარული და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ეკონომიკას, სტრატეგიულ მენეჯმენტს, აუდიტსა და ანალიზს, აგროპროდუქტების მარკეტინგს, აგროსასურსათო სექტორში მიმდინარე კოოპერაციულ პროცესებს, მიწის, წიაღის, ტყის, წყლის რესურსებისა და სხვა უძრავი ქონების გამოყენებისა და რაციონალურად მართვის საფუძვლებს, აგროეკოლოგიურ წარმოებასა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას, მიწათსარგებლობასა და კადასტრს, ეკონომიკურ თეორიებს და აგრობიზნესის მართვის ეკონომიკურ-სამართლებლივ საფუძვლებს.

ფაკულტეტის სტუდენტები სწავლის პროცესშივე ჩართულები არიან სამეცნიერო პროექტებში, დამოუკიდებლად ატარებენ საინტერესო ექსპერიმენტებს.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამებია: **აგრარული ტექნოლოგიები, სასურსათო ტექნოლოგიები, ორგანული სოფლის მეურნეობა, სატყეო საქმე, მეცხოველეობა, აგრობიზნესის მენეჯმენტი, მევენახეობა-მეღვინეობა, სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.**

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებია: **აგრარული ტექნოლოგიები, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, აგრარული ეკონომიკა, მეცხოველეობა.**

აღნიშნულ სპეციალობებზე ბაკალავრიატში განათლებას იღებს 1300-მდე სტუდენტი, მაგისტრატურაში 100 სტუდენტი, ხოლო დოქტორანტურაში 20 სტუდენტი.

ფაკულტეტის შემადგენლობაში ასევე შედის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი, სადაც ხორციელდება შემდეგი პროფესიული პროგრამები: **მელიორატორი** (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი), **აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, სასურსათო ტექნოლოგიები.**

ისტორიულად საქართველო მიწათმოქმედების, მარცვლოვანი კულტურების მოშენების, მეხილეობის, მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი და მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა. საქართველოში განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობა ითვლებოდა ყოველთვის ერის მატერიალურ-კულტურული და სულიერი სიძლიერის წყაროდ. ის არის ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი და ეკონომიკის განმსაზღვრელი ისტორიული სამეწარმეო დარგი. აღნიშნულის დამადასტურებელია მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა.

უდიდესი კულტურული მნიშვნელობის დასტურად „იუნესკოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შეასახებ კონვენციის შესაბამისად 2012 წელს„ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ქართულ მეთოდს“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი. ეს აღიარება მოწმობს, რომ ამ დარგის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სწავლების საწყისებს შორეულ წარსულში აქვს ფესვები. ცნობილია, რომ იყალთოს აკადემიაში სხვა საბუნებისმეტყველო საგნებთან ერთად ისწავლებოდა მევენახეობა-მეღვინეობაც. საქართველოს საპატრიარქოში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსებულია მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ბატონი ვახტანგ ქიზიყურაშვილი, აღნიშნულ ცენტრთან მომავალში აუცილებელია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ურთიერთობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ინიციატივა, შექმნილიყო თანამედროვე სტანდარტების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომლის ფუნქციონირების აუცილებლობაზე და სამომავლო მიზნებზე იმსჯელეს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ინიციატივით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე: 2015 წლის 4-5-6 ნოემბერს **„გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“**, 2016 წლის 28-29-30 სექტემბერს **„ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“**. 2017 წლის 25-27 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში — ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“**.

კიდევ ერთი სიახლე 2018 წელს. თუ გსურთ ჩააბაროთ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, აირჩიეთ №00310 აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, მიიღეთ სახელმწიფოსაგან 100%-იანი დაფინანსება.

თუ გსურთ ჩააბაროთ მევენახეობა-ენელოგიის პროგრამაზე, აირჩიეთ №0031009 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც გააჩნია მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამა, შემუშავებული იტალია-მილანის უნივერსიტეტთან ერთად.

შეისწავლით: **მევენახეობისა და ენოლოგიის ძირითად პრინციპებს; ვენახის გაშენების თავისებურებებს; მიკროკლიმატის, ნიადაგისა და სხვა ფაქტორების გავლენას ყურძნისა და ღვინის ხარისხზე, ვენახისა და ღვინის საწარმოს მართვის სისტემებს, მევენახეობისა და ენოლოგიისათვის დადგენილ მოთხოვნებს.**

მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შესაძლებელია, გაიაროთ აგრარული მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციის მისაღებად (ქართული და ინგლისურენოვანი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ახალ შენობაში შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების მიერ შექმნილი ნაწარმის გამოფენა სასწავლო თვალსაჩინოებისათვის. გათვალისწინებულია უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრში დადუღებული ღვინოებისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი, ბოთლში ჩამოსხმული, მსოფლიოში აღიარებული ქართული ალკოჰოლური სასმელების ენოთეკის მოწყობა-ორგანიზება.

აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲕᲐᲠᲪᲮᲐᲕᲐ;
სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
პროფესორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ;
აგრარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
პროფესორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲧᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ;
მევენახეობა-მეღვინეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის
შემსრულებელი, პროფესორი ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ;
ფაკულტეტის მენეჯერი ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲣᲜᲪᲐᲫᲔ;
ფაკულტეტის სპეციალისტი ᲕᲮᲔᲛᲐᲚ ᲡᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ;
მოწვეული პროფესორი ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ;
საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარე,
აკადემიკოსი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲥᲘᲖᲘᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

◎ მაღალი სინჯის შემოქმედი

ნანა ღვინეფაძის სტანდარტი

გამოჩენილი ქართველი პოეტისა და ჟურნალისტის ნანა ღვინეფაძის 90 წლის საიუბილეო თარიღი იმ ღვაწლის გამო, რაც მას ძვეყნის წინაშე მიუძღვის, ნამდვილად იმსახურებს გაცილებით ფართო და საგანგებო აღნიშვნას მის სათაყვანო სამშობლოში, რომელიც წლეულს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ზეიმობს.

ნანა ღვინეფაძემ 70 წელიწადი შესწირა აქტიურ ჟურნალისტიკას და თქვენ ვერ დაასახელებთ მეორე ქართველ ჟურნალისტს, ვისაც ამდენი დაეწეროს 1918-1921 წლის საქართველოზე და ამას იგი აკეთებდა კომუნისტების ხანაში. საერთოდ, თქვენ ვერ მოიპოვებთ ქართულ ჟურნალისტიკაში ფაქტს, რომ ვინმეს პროფესიული კარიერა შვიდ ათეულ წელს გადასცდენოდეს.

ნანა ღვინეფაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრმცოდნეობას, თავიდან როგორც მისი ისტორიის მკვლევარმა და მერე მოქმედმა რეცენზენტმა, არ დარჩენილა არცერთი ქართული თეატრი, რომელზეც ნანა ღვინეფაძეს არ დაეწეროს. არც ამდენ ქართველ დრამატურგზე, რეჟისორსა და მსახიობზე დაუწერია ვინმეს, მას ეკუთვნის ასობით რეცენზია როგორც ქართული თეატრის სპექტაკლებზე, ასევე უცხოეთიდან თუ რომელიმე მნიშვნელოვანი თეატრალური დასი სწვევია თბილისს. თეატრალურ ხელოვნებაზე ამდენი არცერთ ჟურნალისტს არ დაუწერია. რაოდენობაზე მთავარი კი ის სიღრმე და ხარისხია, თუ როგორ წერს ნანა ღვინეფაძე. მისი სამოცი წლის წინანდელი ნაწერიც რომ ჩაგივარდეთ ხელში, სიამოვნებით წაიკითხავთ, ვერ იგრძნობთ, რომ ის წარსულში დაიწერა, დღესაც მოქმედი და სასარგებლოა! ეს არის წერის მაღალი ხელოვნება, ყავლგაუვალი ტექსტები, საიდანაც ბევრს სწავლობ და ხვდები, რა ძალა აქვს დახვეწილ გემოვნებას და ფართო აკადემიურ კულტურას.

არც ქართულ მწერლობაზე, არქიტექტურაზე, მხატვრობასა და კინემატოგრაფზე ექნება ამდენი ნაწერი რომელიმე ქართველ ჟურნალისტს. ამ ორიოდე კვირის წინათ მასთან ინტერვიუ წავიკითხე და იქ ამბობს, რომ მას 100-ზე მეტ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე დაუწერია. ქართული ეკლესია-მონასტრები იმხანად სახარბიელო თემა ვერ იქნებოდა, მაგრამ ქალბატონი ნანა ჩვენი რწმენის ბურჯებს ვერასოდეს ელეოდა და მათზე წერდა განუწყვეტლივ. ამ მხრივაც უნიკალური ჟურნალისტია იგი და მაგონებს გამოჩენილი მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნათელა იანქოშვილის იშვიათ ნაყოფიერებას, ვინც ასზე მეტი ქართული ტაძარი აამეტყველა ფერწერულად!

ცალკე თემაა ქალბატონი ნანას მეგობართა და მისი დიდნიჭიერების თაყვანისმცემელთა საზოგადოება, ესენი იყვნენ ვერიკო ანჯაფარიძე, დიმიტრი ალექსიძე, მედეა ჯაფარიძე, ზინა კვერენჩხილაძე, ლია ელიავა, ლეილა აბაშიძე, დოდო ჭიჭინაძე, ეთერ გუგუშვილი, დიმიტრი ჯანელიძე, ანტონ წულუკიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ვასილ კიკნაძე, ნადია შალუტაშვილი, ნათელა ურუშაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი, ბიძინა ავალიშვილი, ნანა ბოტკოველი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, გურამ შარაძე, ვახტანგ ცინცაძე, ლადო ავალიანი, ნათელა იანქოშვილი, მარიკა ბარათაშვილი, ანა კალანდაძე, მარი აბრამიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, თამარ ერისთავი და კიდევ რამდენი...

ნანა ღვინეფაძე მეოცე საუკუნის პოეტთა და მხატვართა მუზად არაერთხელ იქცა და ათობით ნიმუში შემორჩა ამის დასტურად. ქალბატონმა ნათელა იანქოშვილმა კი ასეთი რამ მიამბო: **„გული მწყდება, რომ ნანა ღვინეფაძის პორტრეტი ვერ დავუტოვე შთამომავლობას, იგი ერთბაშად იყო ლამაზიც, გონიერიც და გემოვნებიანიც. მე მას რამდენჯერ ვთხოვე მოსვლა ჩემს სახელოსნოში, ის კი ისეთი დაკავებული იყო თავისი პროფესიით, რომ ვერასოდეს გამონახა დრო. თუმცა, მე მისი სახე და თვალები არასოდეს დამვიწყებია... როცა „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი ილუსტრაციებით გამოვიდა, იმხანად წიგნის შიგა სუპერისთვის საჭირო გახდა თამარ მეფის პორტრეტის შექმნა. მე თამარის პორტრეტი მაშინ ზეპირად შევქმენი, მაგრამ გეტყვით, რომ მისი ხატვისას ნანა ღვინეფაძის თვალები და სახე მედგა თვალწინ“.**

ნანა ღვინეფაძე არის მოღვაწის, თავის სამშობლოს უანგარო სიყვარულის და პროფესიონალიზმის განსახიერება. რაც კი მისმა გულმა და გონებამ შექმნა პოეზიაში, თარგმანსა თუ პუბლიცისტიკაში, არის მაღალი სინჯის შესაწირი, რომელიც გაუძლებს დროს და მისით მუდამ იამაყებს შთამომავლობა. მისი პუბლიცისტიკა რომ მოგროვდეს და დაიბეჭდოს, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდტანიანი წიგნი ჩვენს საუკუნეში. თუ როგორია იდეალური ჟურნალისტიკა, ეს ნანა ღვინეფაძის ნაწერებით უნდა შეიცნო, როგორ გრძნობს იგი ქართულ სიტყვებს და მერე რა სასწაულს ახდენს ამ სიტყვებით. სათაურები კი როგორსაც ნანა ღვინეფაძე არჩევს, ეს ცალკე სასწაულია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეოცე საუკუნის იმ დაგმანულ და „უჰაერო“ საბჭოთა ყოფაში, ნანა ღვინეფაძე წერდა ისეთი სტანდარტით, როგორსაც საუკეთესო ბრიტანულ და ფრანგულ პრესაში, „დეილი ტელეგრაფში“ ან „ფიგაროში“ შეხვდებით. ენის უზენაეს ფლობაზე, ნათელ აზროვნებასა და მაღალ გემოვნებაზე დამყარებულ მის პუბლიცისტიკას დრო ვერ ახუნებს, თითქოს გუშინ არის დაწერილი!

იმ სასწავლო ცენტრების გასაგონად კი, ვისაც ქართულ ჟურნალისტიკაზე ზრუნვა ევალება, ვიტყოდი, რომ: აღზარდეთ ჟურნალისტობის მსურველნი ნანა ღვინეფაძის პუბლიცისტიკაზე და ჩვენ გვექნება ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტიკა მსოფლიოში!

90 წლის იუბილეს გილოცავთ ძვირფასო ქალბატონო ნანა, წიგნიერ საქართველოს ახსოვხართ და ეამაყებით! მჯერა, თქვენი სიმაღლე გაცილებით უკეთ გამოჩნდება, როცა მეოცე საუკუნეს გულმოდგინედ აწონიან და შეაფასებენ.

გიორგი ლალიაშვილი,
ლონდონიდან

„შეწყვეტილი სიმღერა“

მალე 100 წელიწადი შესრულდება დიდი მწერლის ფრანც კაფკას გარდაცვალებიდან. ბევრი მისი ნაწარმოები ქართულად არის თარგმნილი; ბოლო რომანი „გოდოლი“, რომლის არსი აკაკის „თავო ჩემოს“ ესატყვისება, ამ რამდენიმე წლის წინათ მიიღო ქართველმა მკითხველმა, მაგრამ პრესაში არ ყოფილა არავითარი გამოხმაურება მე-20 საუკუნის ამ გენიალური ქმნილების თარგმანზე – არც კარგი, არც ცუდი. არადა, ჩემი აზრით, იშვიათი თარგმანია, ერთდროულად, ზუსტიც, და ავტორისეული სულის გამოძახილი. „გოდოლი“ ქართულად გადმოაყენა რუსუდან კანჯიანომ, ეროვნებით ქართველმა გერმანისტმა, რომელიც 25 წელიწადზე მეტია, გერმანიაში ცხოვრობს, და თსუ-ს დასავლეთევროპული ფაკულტეტის გარდა, დამთავრებული აქვს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი.

თარგმანის ავკარგიანობა მკითხველმა განსაჯოს, ჩვენდათავად კი მოგახსენებთ, რომ ეს წმინდა გერმანული ამბავი ქართველი კაცის გადმოსახედიდან არის გააზრებული, რის დასტურადაც მოგიყვანთ ერთ ამონარიდს მთარგმნელის წინათქმიდან:

„ამ იდუმალებით მოცული წილნაყარობის იშვიათი მაგალითია კაფკას დაბადებამდე მრავალი საუკუნით ადრე შექმნილი ქართული ხალხური ლექსი, რომელიც ზედმიწევნით ესადაგება კარვერშეღებული „გოდოლის“ ქარგას:

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
იმ ციხის სანახავადა...
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს:
დრო რო მოალის,
კარ გაიღება თავადა“.

ფრანც კაფკამ ვერ მოასწრო „გოდოლის“ დამთავრება – გარდაიცვალა, მაგრამ შეძლო, მოასწრო, მთავარი ეთქვა...

მამუკა ვაშაკიძე.

ყარაჯალაში პირველი მუსლიმი დეპუტატი ქალის ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი იხსნება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, სოფელ ყარაჯალაში პირველი მუსლიმი დეპუტატი ქალის ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი მოეწყო, რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა გახსნა.

ფარი-ხანუმ სოფიევა პოლიტიკურ მოღვაწეობას 100 წლის წინათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ეწეოდა, როცა საქართველოს ტერიტორიის ძირითად მაზრებში საერობო არჩევნები ჩატარდა. მათ შორის თბილისის მაზრაში, ყარაიაზის ოლქში, სადაც სოფიევამ გაიმარჯვა და თბილისის სამაზრო ერობის მეხუთე ხმოსანი გახდა ყარაიაზის ოლქიდან.

სწორედ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს მიეძღვნა მის მშობლიურ სოფელში მემორიალის გასხსნა.

ქუთაისში თეთრი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია -„ალმა რუს“ საქართველოს ფილიალი ასრულებს.

ხიდზე ხის გადასავლელს თუნუქის ფილები ჩაანაცვლებს, საჭიროების შემთხვევაში იგეგმება კონსტრუქციის გამაგრებაც.

თეთრ ხიდზე დეკორატიული თეთრი ქვები განთავსდება. თეთრი ხიდის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 435 ათას 999 ლარი დაიხარჯება. ტენდერის პირობების თანახმად, კომპანიას ევალება, სარეაბილიტაციო სამუშაობი აგვისტოს ბოლოს დაასრულონ.

საქართველოში პროცესებს ყურადღებით უნდა შევხედოთ!

ცდილობენ თუ არა პოლიტიკური პარტიები ამ პროცესების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას?!

ამერიკულმა ანალიტიკურმა კომპანია „Stratfor"-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განხილულია და ერთმანეთსაა შედარებული საქართველოსა და სომხეთში არსებული სიტუაცია, თბილისში მიმდინარე ბოლო მოვლენების გათვალისწინებით.

სულ რაღაც რამდენიმე კვირაში ერევანში მომხდარი პროტესტების შემდეგ, რომელიც სომხეთის ხელისუფლების შეცვლით დასრულდა, მასშტაბური პროტესტები საქართველოშიც დაიწყო. საპროტესტო აქციები ორი მოზარდის მკვლელობის არაობიექტურმა გამოძიებამ და მისგან გამომდინარე სასამართლო ვერდიქტმა გამოიწვია. ერთ-ერთი მოკლული მოზარდის მამის, საპროტესტო მიტინგის ლიდერის ზაზა სარალიძის მოთხოვნით, გადადგა მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, მაგრამ მისი გადადგომის მიუხედავად, პროტესტები ისევ გაგრძელდა და ახლა დემონსტრანტები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და მისი კაბინეტის გადადგომას მოითხოვენ. გასულ შაბათ-კვირას ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ზაზა სარალიძემ საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას „არსებული სისტემის ერთობლივად დემონტაჟისაკენ" მოუწოდა. ამ ყველაფერს კი 4 ივნისს თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეთა გაფიცვაც დაემატა და მეტროს მუშაობა შეჩერდა.

ქართული პროტესტები მნიშვნელოვნად ჰგავს აპრილში სომხეთში მომხდარ სახალხო გამოსვლებს, რომელმაც მმართველ პარტიას ხელისუფლება შეუზღუდა. **ორივე პროტესტი ქვედა ფენების მონაწილეობით დაიწყო, ისინი უფრო შიდაპრობლემების გადაწყვეტისთვის იყო მიმართული და არა საგარეო საკითხებისკენ. ასე მოხდა საქართველოში ჯერ კიდევ 2003 წელს „ვარდების რევოლუციის" შედეგად, როცა ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური მთავრობა მოვიდა. გარდა ამისა, ორივე მოვლენამ — სომხურმაც და ქართულმაც — თავის თავდაპირველ მიზნებს ჯერ კიდევ მაშინ მიაღწია, სანამ მთლიანად მთავრობის გადადგომას მოითხოვდნენ.**

ამავე დროს, სომხურ და ქართულ პროტესტებს შორის საკვანძო მნიშვნელობის მქონე განსხვავებებიც არსებობს: **სომხეთისგან განსხვავებით, საქართველოში პროტესტები არ იყო გამოწვეული არჩევნების სადაო შედეგებით ან მთავრობის მცდელობებით ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით. სომხეთში რესპუბლიკური პარტია უკვე ათი წელი მმართველ პარტიად ითვლებოდა, საქართველოში კი მმართველი „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მხოლოდ 2012 წელს მოვიდა და მის მიერ ჩატარებული ბოლო არჩევნები 2016 წელს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ იქნა როგორც „თავისუფალი და სამართლიანი". უფრო მეტიც — ქართულ პროტესტებს ხელმძღვანელობს არა ოპოზიციონერი რაიმე პოლიტიკური ამბიციებით, როგორც ეს იყო სომეხი ნიკოლ ფაშინიანის შემთხვევაში, არამედ ჩვეულებრივი სამოქალაქო პირი, რომლის მოქმედება, მისივე თქმით, მხოლოდ სასამართლოს ვერდიქტითაა მოტივირებული.**

და მაინც ორივე სიტუაცია იმის დემონსტრირებას წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება ცხოვრებისეული პრობლემის გამო დაწყებული საპროტესტო მოძრაობა სწრაფად გადაიქცეს საფრთხედ მთავრობისთვის. ევრაზიაში განვითარებული სიტუაციის ფონზე ეს მოვლენები საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტებისთვის ერთგვარ საგამოცდო ტესტს წარმოადგენს. შესაბამისად, პროცესებს ყურადღებით უნდა შევხედოთ და გავიგოთ — ცდილობენ თუ არა პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები ამ პროცესების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას, მმართველი ისტებლიშმენტის გამოწვევის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ზაზა სარალიძისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შედეგიც, როცა მან შვილის მკვლელობის ობიექტური გამოძიება მოითხოვა. თუ ზაზა სარალიძე ვერ დაინახავს ქმედით შედეგებს 10 ივნისამდე, მისი თქმით, იგი მოსახლეობას უფრო ფართო აქციებისაკენ მოუწოდებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარი, ალბათ, ის არის, თუ როგორ რეაგირებას მოახდენს რუსეთი თავის საზღვრებთან მდებარე სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე და როგორი ნაბიჯები შეიძლება გადადგას კრემლმა იმ მიზნით, რომ საპროტესტო ტრაექტორია რუსეთის საწინააღმდეგოდ არ განვითარდეს და მას საფრთხე არ შეუქმნას.

მოგვაწოდა „ნიუსპრესმა"
„Stratfor" (აშშ)

მავნე და ბოროტი ქვეყნები...

ამერიკელი ექსპერტების კომენტარები სირიის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის" აღიარების შესახებ

ვაშინგტონში აცხადებენ, რომ სირიის მმართველი ბაშარ ასადის რეჟიმის მხრიდან საქართველოს რეგიონების — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რომლებიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ამ რეგიონებს ლეგიტიმაციას არ სძენს.

კურტ ვოლკერი, აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი უკრაინის საკითხებში, ამბობს, რომ სირიას ეს ნაბიჯი მისმა რუსეთზე დამოკიდებულებამ განაპირობა: **„პირველ რიგში, სირია მთლიანად დამოკიდებულია ირანსა და რუსეთზე. რაც შეეხება რუსეთს, ის ცდილობს მდგომარეობის დაძაბვას სხვადასხვა საკითხებით, იქნება ეს ბრიტანეთში ნერვული აგენტის გამოყენება, სირიაში სამხედრო კამპანია, აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო ვითარება თუ საქართველოს შემთხვევაში, აღიარება"**, — აცხადებს კურტ ვოლკერი. მისი თქმით, სხვა ქვეყნების მხრიდან ამ ნაბიჯის განმეორება ნაკლებად სავარაუდოა. **„ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ აღიაროს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. როგორც იცით, სხვა ქვეყნებმა, რომლებიც მოსკოვზე არიან დამოკიდებული ან მისგან რაიმეს მიღებას ელიან, ეს ნაბიჯი გადადგეს. ნიკარაგუა ერთ-ერთია, და ასევე, წყნარი ოკეანის კუნძულს ამაში ფული გადაუხადეს. თუმცა სახელმწიფოების უმეტესობა ასე არ მოიქცევა, რადგან ყველა ქვეყანას აქვს რეგიონი ან ქვეყნის ნაწილი, რომელიც შემდეგ გამოყოფას მოინდომებს"**, — ამბობს ამერიკელი დიპლომატი.

ამერიკელი მიმომხილველებისთვის დამასკოს ეს სვლა მოულოდნელი არ ყოფილა.

ვაშინგტონში არსებული ატლანტიკური საბჭოს ევრაზიის პროგრამის დირექტორი ჯონ ჰერბსტი ამბობს, რომ ბაშარ ასადი ამ დროისთვის სირიის მხოლოდ ნაწილს აკონტროლებს და მის წინააღმდეგ ოპოზიცია დიდია. მისი თქმით, ბაშარ ასადმა, ტირანული მმართველობიდან გამომდინარე, დაკარგა ლეგიტიმაცია საერთაშორისო არენაზე.

„დამასკოს გადაწყვეტილება, უფრო სწორად პირადად პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადაწყვეტილება — აღიაროს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი როგორც დამოუკიდებული სახელმწიფოები — აჩვენებს იმას, თუ როგორ ახერხებს ერთი მავნე აქტიორი მეორის წახალისებას. ბაშარ ასადი ამას აკეთებს, რადგან მოსკოვმა ის გადაარჩინა. 2015 წლის ზაფხულში მისი მომავალი არც თუ ისე კარგად გამოიყურებოდა. ამის შემდეგ რუსეთი უფრო დიდი ძალით ჩაერია და ბაშარ ასადის ბედი შემოაბრუნა", — ამბობს ჯონ ჰერბსტი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამწუხაროა, ეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლეგიტიმურობას არ ეხმარება. **„ბაშარ ასადი დღეს მხოლოდ სირიის ნაწილს აკონტროლებს და მისი ტირანული მმართველობის წინააღმდეგ ოპოზიცია დიდია. ამიტომ ის არ არის ლეგიტიმური აქტორი. ეს აღიარება ამ ე.წ. სახელმწიფოებს, მათ სტატუსს არაფერს მატებს. მე არ მგონია, რომ ეს სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის არაბულ სახელმწიფოებს, რაიმე პრეცედენტს უქმნიდეს"**, — თქვა მან.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ შტატების 2017 და 2018 წლების ბიუჯეტის კანონის მიხედვით, ის ქვეყნები, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონებს აღიარებენ, ვერ ისარგებლებენ ამერიკის ფინანსური მხარდაჭერით.

კარნეგის ფონდის უფროსი მკვლევარი პოლ სტრონსკი ამბობს, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს მის საერთაშორისო პარტნიორებთან არაღიარების პოლიტიკაზე მუშაობა.

„მე გამიკვირდა, რომ ეს ახლა მოხდა და არა აქამდე. ბაშარ ასადი უკვე დიდი ხანია, მოსკოვზეა დამოკიდებული. როდესაც იმ ქვეყნებს უყურებ, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, ისინი ძირითადად, რუსეთის კლიენტი სახელმწიფოები არიან, ან ქვეყნები, რომლებიც რუსეთზე ძალიან არიან დამოკიდებული ფინანსურად თუ დიპლომატიურად", — თქვა მან. პოლ სტრონსკის თქმით, საქართველო მისი პარტნიორების მეშვეობით უნდა ეცადოს ამ ქვეყნებზე ზეწოლის განხორციელებას. **„მე მესმის, რომ ქართველებისთვის ეს სასიამოვნო არაა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს აღიარებენ, საერთაშორისო არენაზე „მავნე" და „ბოროტი" აქტორები არიან. ვფიქრობ, საქართველომ შეშფოთება მის მეგობრებთან და მოკავშირეებთან უნდა გაახმოვანოს და მათთან ერთად ეცადოს ქვეყნებზე ზეწოლის მოხდენას"**, — ამბობს პოლ სტრონსკი.

„RADIO VOICE OF AMERICA" **(აშშ)**

კატარს ნატოში შესვლა სურს

კატარის თავდაცვის მინისტრის ჰალედ ბენ მუჰამედ ალ-ატიას განცხადებით, კატარის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლაა. DW-ს ინფორმაციით, მინისტრმა აღნიშნა,რომ კატარი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „მთავარი ბლოკგარეშე მოკავშირეა". ჰალედ ბენ მუჰამედ ალ-ატიას თქმით, დოჰას შეუძლია, ქვეყანაში ნატოს ერთ-ერთი სპეციალიზებული დანაყოფი განათავსოს.

იანვარში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კატართან უსაფრთხოების სფეროში შეთანხმებას მოაწერა ხელი, რაც საიდუმლო მონაცემების გაცვლას გულისხმობს. დოკუმენტის ხელმოწერის დროს კატარელმა გენერალმა ტარიკ ჰალიდ ალ-ობაიდლიმ და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ როუზ გეტემიულერმა თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

კატარის გარდა, ნატოს პარტნიორ ქვეყნებად მიიჩნევა ბაჰრეინი, ქუვეითი და არაბთა გაერთიანებული საემიროები, რომლებმაც ასევე ნატოსთან უსაფრთოების სფეროში დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

წინასაკვალიფიკაციო შერჩევა

თარიღი: 1 ივნისი, 2018

სესხის/გრანტის ნომერი და სახელწოდება: არ არის განსაზღვრული: ჩრდილო-სამხრეთის დერეფანი (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი

კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: KKRP/CW/CP-02: ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადა; თარიღი: 18 ივლისი 2018

დრო: 14:00 სთ ადგილობრივი დროით

1. აღნიშნული მოწვევა წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის შეესაბამება ზოგად შეტყობინებას შესყიდვის შესახებ, რომელიც აზიის განვითარების ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 28 მაისს. წინასაკვალიფიკაციო შერჩევასა და სატენდერო პროცედურაში მონაწილეობის უფლება აქვთ კომპანიებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტისათვის.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („დამკვეთი“) გეგმავს კომპანიების წინასაკვალიფიკაციო შერჩევას შემდეგი კონტრაქტისათვის აღნიშნული პროექტის ფარგლებში:

• CP-02 - ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა;

სიგრძე: 12.72 კმ
მშენებლობის პერიოდი: 36 თვე + 2 წელი დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი
ხიდები: 6 ხიდი (რაც მოიცავს 426მ სიგრძის თაღოვან ხიდს)
გვირაბები: 4 გვირაბი
საფარის ტიპი: ასფალტ-ბეტონი

4. სატენდერო მოწვევის გამოქვეყნება დაგეგმილია 2018 წლის მესამე მეოთხედში.

5. შემდგომი ინფორმაციისა და წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ:

ბატონი ლევან კუპატაშვილი
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 37 05 08 შიდა;.311
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

6. წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად ინგლისურ ენაზე დაინტერესებულმა პირებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:
• მოგვმართონ წერილით ზემოთ მითითებულ მისამართზე წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციის მოთხოვნით KKRP/CW/CP-02: ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა;
• წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტაციას დაინტერესებული პირები მიიღებენ ელექტრონული ფორმით, უსასყიდლოდ.
დოკუმენტის მოწოდება განხორციელდება ელფოსტის საშუალებით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის თუკი ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

7. გთხოვთ თქვენი განაცხადი წარმოადგინოთ:
• ზემოთ მითითებულ მისამართზე
• არაუგვიანეს: 18 ივლისი 2018; 14:00 ადგილობრივი დროით
დამკვეთი უფლებას იტოვებს მიიღოს დაგვიანებული განაცხადები ან უარი თქვას მათ მიღებაზე.

8. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას მონაწილის მიერ განაცხადების მომზადებასა და მოწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

9. დამკვეთი წერილობით შეატყობინებს ყველა მონაწილეს იმ მონაწილეთა სახელებს რომლებიც შეირჩევიან წინასაკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად.

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი წინასაკვალიფიკაციო შერჩევის მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინასაკვალიფიკაციო შერჩევის მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

INVITATION FOR PREQUALIFICATION

Date:	**01 June 2018**
Loan/Grant No. and Title:	TBD: North-South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project
Contract No. and Title:	**KKRP/CW/CP-02**: Construction of Kvesheti - Kobi Road (Road Section)
Deadline for Submission of Applications:	Date: **18 July 2018** Time: 14:00 hours local time

1. This Invitation for Prequalification follows the General Procurement Notice for this project that appeared on the Asian Development Bank (ADB) website on 28 May 2018. The eligibility rules and procedures of ADB will govern the prequalification and the bidding process.

2. The government of Georgia has applied for financing from the Asian Development Bank toward the cost of North-South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project.

3. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (the "Employer") intends to prequalify firms for the following contract(ss) under this project:

• **CP-02 - Construction of Kvesheti - Kobi Road (Road Section);**

Length: **12.72 km**
Construction Period: **36 months + 2 years of Defects Notification Period**
Bridges: **6 bridges (including 426m long arch bridge)**
Tunnels: **4 tunnels**
Pavement type: **Asphalt-Concrete**

4. It is expected that the Invitation for Bids will be made in Q3 of 2018;

5. To obtain further information and inspect the Prequalification Document· interested eligible Applicants should contact:

Mr. Levan Kupatashvili
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To obtain the Prequalification Documents in English, eligible Applicants should:
• write to address above requesting the Prequalification Documents for **KKRP/CW/CP-02: Construction of Kvesheti - Kobi Road (Road Section);**
• Prequalification Documents will be provided in an electronic format, free of charge;
The document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Deliver your Application:
• To the address above
• On or before: **Date –** 18 July 2018; **Time -** 14:00 hours local time.
The Employer reserves the right to accept or reject late Applications.

8. The Employer will not be responsible for any costs or expenses incurred by Applicants in connection with the preparation or delivery of their Applications.

9. The Employer will notify all Applicants in writing of the names of those Applicants who have been prequalified.

ბორდელად ქცეული სკოლის ყოფილი შენობა!

ძუთაისში გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 27-ე საჯარო სკოლის ყოფილი შენობა ქვეწარმავლების ბუდედ გადაიქცა. სკოლის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად დანაგვიანებულია. ადგილობრივების თქმით, აქ მოდიან სვამენ და სკოლის შენობა ბორდელად არის ქცეული. მათივე თქმით, სკოლა 2008 წელს გაუქმდა იმ მოტივით, რომ მის ნაცვლად რაგბის სკოლა გაიხსნებოდა, თუმცა სკოლის ნაცვლად იაფფასიანი ბორდელი გაიხსნა.

გამსახურდიას ქუჩის მცხოვრებლები ყვებიან, რომ ყოფილი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ყოველ საღამოს საშინელი ხმაური და საქმის გარჩევები ისმის. **„საშინელი ხმა გამოდის, საშინელ მდგომარეობაში ვართ, რამდენჯერმე პოლიციაც კი გამოვიძახეთ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ჩვენი მოთხოვნაა, ამ ქუჩის დასახლებას მოგვაქციონ ყურადღება. სკოლის ტერიტორია ძალიან ლამაზი იყო მაშინ, როდესაც სკოლა ფუნქციონირებდა, ახლა კი გადაიქცა ლოთობის, საქმის გარჩევის ადგილად“,** – აცხადებენ გამსახურდიას ქუჩის მაცხოვრებლები.

ბათუმში მაშველებმა 15 წლის ბიჭი დახრჩობას გადაარჩინეს

დაახლოებით 100 მეტრის მოშორებით მაშველებმა, ზღვაში ახალგაზრდა ბიჭი შენიშნეს, რომელიც შველას ითხოვდა. ბიჭის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ზუგდიდში მამაკაცი, რომელსაც რამდენიმე დღე ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს

ზუგდიდში, სოფელ ნაწულუკუში მამაკაცი, რომელსაც რამდენიმე დღე ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს.

ის საკუთარი სახლის სხვენში იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად

I ზეინკალი-ხარატი (I კატეგორია) - 1 ერთეული

სამუშაოს აღწერა
• სახარატო-საზეინკლო სამუშაოების შესრულება;
• ჩაბარებული დანადგარ - ხელსაწყოების მომსახურება და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
• დანადგარზე მუშაობის დამაკმაყოფილებელი ცოდნა.

კონკურსის პირობები
კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:
ა.) შესაბამის სფეროში საშუალო-ტექნიკური განათლება;
ბ.) შესაბამის სფეროში არანაკლებ 5 წლამდე გამოცდილება;
გ.) სახარატო-საზეინკლო სამუშაოების ცოდნა და გამოცდილება;
დ.) გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
დ.) კომუნიკაბელურობა;
დ.) ცვლილებებისადმი ადაპტირება;
დ.) სტრესულ გარემოში მუშაობა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:
1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. #10, ოთახი #7 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2018 წლის 7 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

◎ წინ, საქართველოვ!

ოქროს სტარტი

სტამბოლში გრძელდება 23-წლამდელ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატი. ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ორი იქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნუგზარ წურწუმია (55) და ზვიად პატარიძე (130), ხოლო ლერი აბულაძე (63) მესამე ადგილს დასჯერდა.


ნუგზარ წურწუმია

წურწუმიამ ფინალამდე უნგრელ ბენცე კოვაჩს (10:2), უკრაინელ ვლადისლავ კოროსტილიოვს (9:0) და სომეხ ნორაირ ჰაკოიანს (9:0) აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი თურქ ექრემ ოზთურქს სძლია (2:0). პატარიძემ ჯერ უნგრელი ფერენც ალმაში დაჯაბნა (8:0), მერე რუმინელი კონსტანტინ ჰუტულეაგი 18 წამში დაამარცხა (8:0) და ფინალში თურქ ოსმან ილდირიმს დაუპირისპირდა. უფროსებში ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი ქართველი პირველივე წუთზე 2:8 ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ შემდეგ შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა და 11:8 გაიმარჯვა. აბულაძემ ბრინჯაოსთვის პაექრობაში ლიტველ იუსტას პეტრავიჩიუსს 7:4 მოუგო.

ლაშა დიდია

◎ ძალოსნობა

ირაკლი ჩხეიძე

უზბეკეთში – 3, იტალიაში კი – 13

საქართველოს 20-წლამდელ ძალოსანთა ჩემპიონატში სხვადასხვა კუთხის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატს ივლისის დასაწყიში უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სამი ქართველი იასპარეზებს. ესენი არიან: თბილისელი ევროპის ჩემპიონი რევაზ დავითაძე (85 კგ), საქართველოს პირველობის გამარჯვებული ნოდარ კაკაბაძე (ქუთაისი, 85 კგ) და ჭაბუკებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ახალგაზრდებში კონტინენტის მესამე პრიზიორი ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი, 105 კგ), რომელიც ამჟამად თანატოლებში მსოფლიოს რეიტინგით პირველი ნომერია. ქუთაისურ ბატალიებში თავი გამოიჩინა ლომია თებიძემ (აჭარა, 85 კგ), რომელმაც 174 კილოგრამი აკრა და 17-წლამდელებში საქართველოს რეკორდი დაამყარა. ამ შეჯიბრებამდე ჩვენმა ათლეტებმა ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით დუშეთში ორი საწვრთნელი შეკრება გაიარეს. ახლა ახალგაზრდები ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად საჩხერეში მოემზადებიან, 15- და 17-წლამდელები კი, რომლებსაც 20-29 ივლისს იტალიაში ელით ევროპის სალიცენზიო პირველობა, დუშეთში განაგრძობენ ვარჯიშს. საევროპე შემადგენლობა საქართველოს პირველობის (21-24 ივნისი) შემდეგ გახდება ცნობილი. აპენინებზე 15-წლამდელებში ხუთი, 17-წლამდელებში კი რვა სპორტსმენი გაემგზავრება.

აქვე საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში გამარჯვებულებსაც გაგაცნობთ. ესენი არიან: იმედა შავაძე (50 კგ. აჭარა) – 138 (60+78), ბაჩუკი შამილიშვილი (56 კგ. ოლიმპიური მზადების ცენტრი, აჭარა) – 185 (80+105), ვეფხია თებიძე (62 კგ. აჭარა) – 212 (92+120), არჩილ მალაყმაძე (69 კგ. ომც, აჭარა) – 289 (134+155), გიგი პატარაშვილი (77 კგ. თბილისი) – 310 (140+170), ნოდარ კაკაბაძე (85 კგ. ქუთაისი)- 343 (158+185), რევაზ დავითაძე (94 კგ. თბილისი) – 346 (163+183), ირაკლი ჩხეიძე (105 კგ. ომც, ზუგდიდი) – 377 (167+210), თორნიკე ტაბატაძე (+105 კგ. ომც, ხაშური) – 322 (140+182), სინკლერის ცხრილით პირველ-მეექვსე ადგილებზე გავიდნენ: ირაკლი ჩხეიძე, რევაზ დავითაძე, ნოდარ კაკაბაძე, გიგი პატარაშვილი, არჩილ მალაყმაძე, ლომია თებიძე, რომლებიც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა.

ლექსო ციცაძე

◎ საფეხბურთო სლენგი

ზიდანის „ლოკოკინა“, მარადონას „რაბონა“ და სხვა

ფეხბურთს მილიონობით მაყურებელი ტელევიზიით ადევნებს თვალს, რა დროსაც ბევრი კომენტატორი სპეციალურ ტერმინს ხმარობს, რომლებიც ყველას როდი ესმის. ამიტომაც ამ ერთგვარი ხარვეზის შესავსებად, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუკი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე მათგანს გაეცნობით. კერძოდ:

ლატერალი – ესაა განაპირა მცველი, რომელიც შეტევებში აქტიურად ერთვება. ლატერალის საუცხოო მაგალითია მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი მარსელო. უწინ კი ასეთი იყო დაუვიწყარი რობერტო კარლოსი.

ლიბერო ანუ **სვიპერი** – თავისუფალი მცველი, ანუ „მწმენდავი“, რომელსაც მოედანზე მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი არა აქვს და ძირითადად თავის პარტნიორებს აზღვევს.

ვინგერი – განაპირა შემტევი ნახევარმცველია. თავის დროზე ამ ადგილზე ბრწყინავდა **დევიდ ბექჰემი.**

ბოძი – ესაა მაღალი, მძლავრი თავდამსხმელი.

ცრუ ცხრიანი – უკან დახეული თავდამსხმელი. ამის დიდებული მაგალითია **ლიონელ მესი.**

მე-12 მოთამაშე – ესაა შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელი, რომელსაც გადამწყვეტი გოლები გააქვს. ეს პოზიცია, ფაქტობრივად, დააანონსა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა. მას ხშირად მოედანზე **სულშერი** გაჰყავდა, რომელსაც გადამწყვეტი გოლები გაჰქონდა და თამაშის ბედს ბევრჯერ სწორედ იგი სწყვეტდა. ასევე ხშირად „მე-12 მოთამაშეს“ კომენტატორები მხურვალე გულშემატკივრებს უწოდებდნენ, რომლებიც საყვარელ გუნდს ქომაგობდნენ.

ავტობუსის გაჩერება – ასე უწოდებენ „ყრუ დაცვაში“ ჩამდგარ ერთი გუნდის მოთამაშეებს, რომლებიც კი არ თამაშობენ, ამ სიტყვის სრული გაგებით, არამედ დგანან, როგორც ავტობუსის მომლოდინე ხალხი.

კომპენსირებული დრო – ესაა ის წუთები, რომლებსაც მსაჯი ტაიმის ძირითად დროს (45 წუთს) სხვადასხვა მიზეზით გაჩერებებისთვის უმატებს (თითო შემთხვევაში 30 წამს).

ეს ტერმინი არ უნდა აგვერიოს „დამატებით დროსთან“, რომელიც ფლეიოფის თამაშებში ინიშნება ხოლმე, სადაც აუცილებელია გამარჯვებულის გარკვევა. 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ეს იქნება ორ დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი. თუკი ანგარიში მათ შემდეგაც საყაიმო იქნება, და ინიშნება 11-მეტრიანი დარტყმების სერია.

ჩაწოდება – ესაა ფლანგური გადაცემა, უფრო ხშირად საჯარიმო მოედანში.

ჩაყვინთვა – ასე უწოდებენ მოთამაშის სიმულაციას, რომელიც მსაჯისგან ჯარიმის გამოტყუების მიზნით თავისით ეცემა. ტყუილის გამოაშკარავების შემთხვევაში სიმულიანტს ყვითელი ბარათით „ასაჩუქრებენ“.

ზედდება – ესაა სახიფათო თამაში, როცა ფეხბურთელი ფეხს მოწინააღმდეგის ფეხს აფარებს, რომელიც ამ დროს ბურთს ურტყამს.

ლოკოკინა – ესაა ფინტი, რა დროსაც შემსრულებელი 360 გრადუსით ტრიალდება. მისი უბადლო შემსრულებელი იყო **ზიდანი.**

პასიური ოფსაიდი – ესაა ის მომენტი, როცა გადაცემის შესრულების დროს ოფსაიდში იმყოფებოდა ის მოთამაშე, რომელიც სათამაშო ეპიზოდში არ მონაწილეობდა. ამჟამად ასეთი ოფსაიდი (ანუ თამაშგარე მდგომარეობა) წესების დარღვევად აღარ ითვლება.

ჰეთ-თრიკი – ასე ეწოდება ერთ შეხვედრაში ერთი ფეხბურთელის მიერ გატანილ სამ ბურთს. თუკი მოთამაშე ოთხ გოლს გაიტანს, ეს უკვე პოკერი იქნება.

გოლი „გასახდელში“ – პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი ბურთი.

მკვდარი ბურთი – მეკარისთვის ასაღებად ძალიან ძნელად, ფაქტობრივად, აუღებელი ბურთი ითვლება.

დიდი ანგარიშით გამარჯვება – როცა ბურთებში სხვაობა სამ და მეტ გოლს შეადგენს – 3:0, 4:1, 5:2, 7:3.

რაბონა – ასე ეწოდება საყრდენი ფეხის უკნიდან დარტყმულ ბურთს. ამ მდგომარეობაში მოთამაშის ფეხები ერთმანეთზე ჯვარედინდება.

ნინო ალექსანდრია

◎ გამოიცა

„მადლი ჰქონი“...

მადლიერების დღის აღნიშვნა კარგახანია მისაბაძ ტრადიციად დამკვიდრდა ცივილიზებულ სამყაროში. სხვისი არ ვიცი და მე იმედი მომეცა, რომ ტოლერანტობით განთქმულ ჩვენს სამშობლოშიც ავმაღლდებით იქამდე, თანაც – არცთუ შორეულ მომავალში. მართალია, ურთიერთკორტნასა და უმადურობაში ბარე ორი ვერ შეგვედრება, მაგრამ მაინც – ბოროტს აუცილებლად უნდა სძლიოს კეთილმან!

ალბათ, იკითხავთ – რამ განაპირობა ასეთი შესავალიო. სიამოვნებით გიპასუხებთ, რომ თიბისი გალერეაში მოწყობილმა დაუვიწყარმა, ადამიანური სითბოთი გასხივოსნებულმა საღამომ, რომელიც ვიტალი დარასელიასადმი მიძღვნილი ახალი კრებულის წარდგინებიდან საქვეყნო სატკივარსა და პერსპექტივაზე მსჯელობაში გადაიზარდა.

წიგნიერი საზოგადოების თავყრილობას ერთგვარი ფონი შეუქმნა ღონისძიების დასაწყისშივე გამჟღავნებულმა სიურპრიზმა ვიტალი დარასელიას პირველი მწვრთნელის – **ბონდო კაკუბავასა** და დასახელებული ნაშრომის ავტორის **დემიკო ლოლაძის** ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. სახელმწიფოს მეთაურ გიორგი მარგველაშვილის ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავკაცმა გიორგი აბაშიშვილმა გაახმოვანა. თანადგომისათვის არანაკლები დითირამბები დაიმსახურეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა – ლევან კობიაშვილმა და კახა ჭუმბურიძემ, რომელმაც, თურმე, რედაქტორობაც შეითავსა, აგრეთვე დიზაინერმა კახა ბახტაძემ, რომელსაც გემოვნებიან გაფორმებას უნდა ვუმადლოდეთ და მხატვარმა ზურაბ გაბუნიამ, რომლის შესრულებული ვიტალი დარასელიას პორტრეტიც ამშვენებდა დარბაზს.

შემდეგ კი...

შემდეგ იყო მწვანე მინდვრის, მხატვრული სიტყვისა თუ სცენის დიდოსტატთა და მართლაც გულშემატკივართა ისეთი ძარღვიანი გამოსვლები, ორატორული ხელოვნების ნიმუშობაზე რომ ექნებოდა პრეტენზია.

როგორც ყოველთვის, წიგნის ავტორი გამომსვლელებს აფრთხილებდა, მე ნუ შემაქებთ და მხოლოდ დიუსელდორფის ისტორიული მატჩის გმირზე ისაუბრეთო, მაგრამ ბევრმა მათგანმა მაინც გაბედა ურჩობა: „ჩვენი ფეხბურთის ქართლის ცხოვრების მეისტორიე“, „ნეტავ ყველა სფეროს გამოუჩნდეს ისეთი პატრონი, როგორიც ქართულ ფეხბურთს ჰყავს დემიკო ლოლაძის სახით“. დაგვეთანხმებით, ასეთი შეფასებებით ნებისმიერი მამულიშვილი იამაყებდა.

იგივე შეიძლება ითქვას 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფის მთავარი შემომქმედის ღვაწლზეც, რომლის გოლმა – შედევრმაც, ხატოვნად თუ ვიტყვით, მაშინ მთელი მსოფლიო გააერთიანა, რამეთუ საქართველოდან თანამემამულეთა მხარდასაჭერად ჩასულ ტურისტთა 39-კაციან ჯგუფთან და ქართველ ებრაელებთან ერთად „რაინშტადიონის“ ტრიბუნებიდან დინამოელებს ავსტრალიასა და კანადაში მცხოვრები ემიგრანტებიც ქომაგობდნენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ხდებოდა იმ წუთებში, როცა რომის პაპი დაჭრეს და იტალიის დედაქალაქში რუსთაველელთა უკვდავი „კავკასიური ცარცის წრის“ საგასტროლო წარმოდგენა მიმდინარეობდა.

ბუნებრივია, არაერთხელ გაესვა ხაზი არცთუ შემთხვევით კანონზომიერებას, „კარლ ცაისის“ კარში გოლები ოსმა და აფხაზმა რომ გაიტანეს და გაჟღერდა ოცნება, იქნებ ეს ფაქტი ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაში დაგვეხმაროს.

ამინ!

გია პლატონიშვილი

◎ მეტი სულიერებისკენ

ხსოვნა, რომელიც მეცნიერებს ზრდის

კონსერვატორიის პედაგოგისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია – „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“

2018 წლის 22 მაისს გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა პროფ. მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია — „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“.

კონფერენცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით 2013 წლიდან იმართება. იგი ტრადიციულად ეძღვნება ძველი ქართული საეკლესიო გალობის გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევარს, დამსახურებულ პედაგოგსა და კონსერვატორიაში საეკლესიო მუსიკოლოგიის მიმართულების დამაარსებელს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ მანანა ანდრიაძის ნათელ ხსნოვნას.

ამავე კონფერენციაზე ყოველწლიურად კონსერვატორიის ან გალობის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის მიმართულების საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა პროფ. მ. ანდრიაძის სახელობის პრემია და სიგელი. ერთჯერადი სტიპენდია მეცნიერის მეუღლის, ბ-ნ გივი ანდრიაძის ინიციატივითაა დაწესებული, როგორც ერთგვარი წახალისება ქალბატონ მანანას დაწყებული საქმის ღირსეულ გამგრძელებელთათვის პროფესიული მუსიკის შესწავლის საქმეში.

2018 წლის დაჯილდოების მეექვსე ცერემონიალზე პროფ. მ. ანდრიაძის სახელობის პრემია მიენიჭა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის I კურსის წარჩინებულ სტუდენტს **ანა ლოლაშვილს**. დაჯილდოვება საზეიმო ვითარებაში შედგა, სადაც სტუდენტს პრიზთან ერთად სპეციალური სამახსოვრო თასიც გადაეცა.

თავის დროზე პროფ. მ. ანდრიაძის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ: **შორენა მეტრეველი** (2013 წ.), მონოზონი **ნინო სამხარაძე** (2014 და 2015 წწ.) — თბილისის სახ. კონსერვატორიიდან, **ნატალია ივანიშვილი** (2016 წ.), **ლედი კუთხაშვილი** (2017 წ.) — გიორგი მთაწმინდელის უნივერსიტეტიდან.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია წინა წლებთან შედარებით განსხვავებულ ფორმატში წარიმართა: წელს მისი სამეცნიერო არეალი და მონაწილეთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საეკლესიო მუსიკისადმი მიძღვნილ მოხსენებებთან ერთად წარმოდგენილი იყო საღვთისმეტყველო საკითხებიც. თუ ადრე კონფერენციაზე მხოლოდ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და გიორგი მთაწმინდელის უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ, წელს მათ რიცხვს თბილისისა და გელათის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტებიც შეემატნენ.

მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თეოლოგიის სხვადასხვა საკითხებიდან ახალგაზრდა მკვლევარებმა განიხილეს ქრისტიანული ეკლესიის მოციქულებრივი წარმომავლობისა და დიდი შაბათის საცისკრო კანონის გამოსყიდვის საიდუმლოს არსი. ისაუბრეს ხატთაყვანისცემის დოგმატისა და ზეთისცხების საიდუმლოს მართებული გააზრების შესახებ. შეეხნენ ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის თემასა და წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ცხოვრებიდან ანამორფოზულ ადგილებს. განმარტეს იესო ქრისტეს მიერ ნაზარეთის სინაგოგაში წარმოთქმული მესიანისტური ქადაგება და ისრაელისათვის მლოცველი პავლე მოციქულის ღვაწლი. ძველი პროფესიული მუსიკა წარმოდგენილი იყო ისტორიული და თეორიული კვლევის ჭრილში. კერძოდ, გაანალიზებული იყო წმიდა იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი ძლისპირი „მერცხალო შვენიერო“ და სამზე მეტხმიანობა ზაქარია ფალიაშვილის მიერ დამუშავებულ საგალობლებში. განხილული იქნა დიდი ხუთშაბათისა და წინადღესასწაულის მსახურებები ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, აგრეთვე ჭრელები საგალობელთა ნოტირებულ ხელნაწერებში. ერთ-ერთი მოხსენება „შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური აგებულების თავისებურებათა კვლევის საკითხსაც მიეძღვნა.

სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას გიორგი მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტმა, როგორც ყოველთვის, ღირსეულად უმასპინძლა. სასწავლებლის რექტორის, პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლებისგან დაკომპლექტებული გუნდისა და ადმინისტრაციის (ხელმძღვანელი **ნანა გოთუა**) ხელშეწყობით აქ დღემდე მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ახალგაზრდების საშემსრულებლო და სამეცნიერო განვითარებისთვის, რომლის ნათელი დადასტურებაცაა აღნიშნული სამეცნიერო კონფერენციის მაღალი აკადემიური დონე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა სხვადასხვა ფორმით წახალისებას, როგორიცაა ვთქვათ, უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტთა პრემიებით დაჯილდოება.

ჩვენი დაძაბული დროება მრავალი პრობლემის წინაშე გვაყენებს და ჩვენი დიდი ქრისტიანული მემკვიდრეობა თანამედროვეობას მეტი სულიერებისკენ მოუწოდებს, მაღალი იდეალებისკენ წარმართავს.

სწორედ ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილ ატმოსფეროს, ადგილებს, სადაც ყალიბდება საქართველოს მომავლის კონტურები.

მონოზონი ნინო (სამხარაძე)

რას არ გაიგებ...

• **წვერ-ულვაშის** კონკურსს „ბირდინგი“ ეწოდება.

• გოგრა მამაკაცებს სექსუალური ტონუსის შენარჩუნებაში ეხმარება.

• ქორწინების ნიშნად ბეჭდის გამოყენება პირველად ძველ ეგვიპტეში დაიწყეს.

• გლოვის დროს ძველ რომში საცხოვრისებს კვიპაროსის ტოტებით რთავდნენ.

• მე-18 საუკუნეში რუსეთში ერთი პატიმრის შესანახად ხაზინიდან ყოველთვიურად 10 კაპიკის ხარჯი იყო გათვალისწინებული.

• თანამედროვე ინდონეზიის შემადგენლობაში 40 ათასზე მეტი კუნძულია.

• მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოსტიუმი, ყოველ შემთხვევაში გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, კოსმოსური სკაფანდრია.

• ყოველ წამს მსოფლიოში ისმება 30 ბოთლი შოტლანდიური ვისკი.

• 2018 წლის 8 მაისს, სამეცნიერო-საძამკვირებლო ტივტივამ, რომელიც ახალი ზელანდიისგან 700 კილომეტრის დაშორებით, კუნძულ კემპბელის რაიონშია განთავსებული, ოკეანეში 23,8 მეტრის (ანუ 8-სართულიანი სახლის სიმაღლის!) ტალღა დააფიქსირა.

ასეთი მსგავსები და თან ასეთი განსხვავებულები!

ალაბამის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტკივილის ჩამოყალიბების მექანიზმი მამაკაცებსა და ქალებში განსხვავებულია.

ტკივილის შეგრძნებები იმუნური სისტემის განსაკუთრებული ტიპის უჯრედების — მიკროგლიის მონაწილეობით ყალიბდება. ექიმები თაგვებში უკანა თათების საჯდომის ნერვის დაზიანებით ტკივილის შეგრძნებებს იწვევდნენ, რის შემდეგ ცხოველებს მიკროგლიის მუშაობის დამთრგუნველ პრეპარატებს უკეთებდნენ. მამრებს ეს ტკივილს უამებდა, მდედრებზე კი არ მოქმედებდა. მიკროგლიის უჯრედების „გათიშვასაც“ მამრებსა და მდედრებში იგივე ეფექტი მოყვებოდა.

მეცნიერთა აზრით, საჭიროა ქალების კლინიკურ კვლევებში მეტად ჩართვა, მაგრამ ლაბორატორიების უმეტესი ნაწილი ცდებს რატომღაც მარტო მოხალისე მამაკაცებზე ატარებს.

წინასწარმეტყველი ბიომარკერები

მეცნიერებმა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის წინასწარმეტყველი სისხლის ანალიზი შეიმუშავეს.

მკვლევარებმა სისხლის 26 მარკერს მიაგნეს, რომელთა მიხედვით სხვადასხვა დაავადებათა წარმოშობის რისკის დადგენაა შესაძლებელი.

ბიომარკერების დროული გამოვლენა მედიკოსებს ნაადრევი სიკვდილის თავიდან ასაცილებელი ზომების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ეს გასაოცარი კარნავალი...

რიო-დე-ჟანეიროში ყოველწლიურ კარნავალში დაახლოებით 30 ათასი მოცეკვავე მონაწილეობს.



თითოეული აქაური სამბის თორმეტივე სკოლა, რომელიც მსვლელობა-შეჯიბრში იღებს მონაწილეობას, საცეკვაო პლატფორმებისა და კოსტიუმების გაფორმებაზე დაახლოებით სამ მილიონ დოლარს ხარჯავს. მოცეკვავეთა კოსტიუმები სიმაღლეში ზოგჯერ ხუთ მეტრს აღწევს და ათ კილოგრამზე მეტს იწონის. ყველაზე მოკრძალებული კოსტიუმი, სულ მცირე, 250 დოლარი ღირს. თითოეული სკოლის წარმომადგენელთა მსვლელობას თავში უდგას მოცეკვავე მედროშე ქალი. ოდესღაც ყველა ასეთ ქალიშვილს საგანგებოდ დანით შეიარაღებული კაცი იცავდა, რათა მოქიშპეებს დროშის დაზიანებისა და ამით სკოლისთვის შეჯიბრში გამარჯვების მოპოვების წართმევის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

„სასამართლო ადგენს...“



2500 წლის წინათ, ჩვენ წელთაღრიცხვამდე 470 თუ 469 წელს, ათენში მომავალი დიდი ფილოსოფოსი სოკრატე დაიბადა.

იგი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ის იცის, რომ არაფერი არ იცის და ხალხს ჭეშმარიტების დადგენას დიალოგის მეშვეობით ასწავლიდა. სიყვარულსა და კეთილშობილებაზე მსჯელობების გამო მას სახელმწიფოს საფუძვლების შერყევა დასდეს ბრალად და, სასამართლოს განაჩენით, აიძულა, შხამი ციკუტა დაელია.

SOS! მიწისძვრები შემოგვეჩვია!

მიწისძვრა გუშინ დილით საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 6 ივნისს, თბილისის დროით 07:58 საათზე საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრიდან 8 კმ.-ში 3.9 (ძდ) მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა მოხდა.

შეგახსენებთ, რომ მიწისძვრა 5 ივნისსაც აღირიცხა. თბილისის დროით 22:40 საათზე აზერბაიჯანში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 28 კმ.-ში 5.6 (ძდ) მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა მოხდა, რომელიც თბილისშიც იგრძნობოდა.

როგორ მოვიქცეთ მიწისძვრის დროს?

რჩევები საგანგებო სიტუაციების სამსახურისგან

თუ სუსტი მიწისძვრაა, არ შეშინდეთ, უმჯობესია, დარჩეთ იქ, სადაც ხართ;

იმ შემთხვევაში კი თუ ძლიერი მიწისძვრის დროს შენობაში იმყოფებით, რჩევები ასეთია:

სასწრაფოდ დატოვეთ შენობა კიბით ან პირველი სართულის ფანჯრებიდან;

მეორე სართულზე და უფრო ზემოთ, ნუ შეეცდებით შენობის დატოვებას;

არ ისარგებლოთ ლიფტით;

დადექით შიდა კედელთან კუთხეში, კარის ჭრილში, საყრდენ სვეტთან;

თუ შენობა ძველია და კედლები არასაიმედოა, შეძვერით საწოლის ან მაგიდის ქვეშ;

არ ისარგებლოთ ასანთით;

როგორ უნდა მოიქცეთ ძლიერი მიწისძვრის დროს, თუ ქუჩაში იმყოფებით?:

გადით ღია ადგილზე, შორს შენობებისა და ელექტროგადამცემებისაგან;

არ დადგეთ ხიდზე ან მის ქვეშ.

სახალხო დამცველი დახმარებას ითხოვს

გუშინდელი მიწისძვრის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატის შენობაში ბზარები გაფართოვდა. სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია Facebook-ზე განცხადებას ავრცელებს და დახმარებას ითხოვს. ნინო ლომჯარია საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების დრებით „შეფარებას“ სთხოვს.

პოლონელმა ექსპერტებმა კაჩინსკის თვითმფრინავზე ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი იპოვეს

პოლონეთის საგამოძიებო კომისიამ სმოლენსკთან 2010 წელს ავიაკატასტროფაში მოყოლილი თვითმფრინავის ნაწილებზე ასაფეთქებელი ნივთიერების კვალის პოვნის შესახებ განაცხადა. ავიაკატასტროფისას პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და პოლონეთის მთავრობის წევრები გარდაიცვალნენ. კომისიამ ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი ერთ-ერთი მსხვერპლის ცხედარზეც იპოვა. ამასთან ავიაკატასტროფის ადგილას, მიწაზე ასეთი ნივთიერებები ააღმოჩენილი არ იყო. პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ანტონ მარჩერევიჩმა, რომელიც საგამოძიებო კომისიას ხელმძღვანელობს, არაერთხელ განაცხადა, რომ ავიაკატასტროფის მიზეზი შესაძლებელია, თვითმფრინავში აფეთქება გამხდარიყო.

საუდის არაბეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს არ აჩვენებენ

საუდის არაბეთის ვერც ერთმა ტელეკომპანიამ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლება ვერ იყიდა. კონტენტის მფლობელი ყატარის კომპანია beIn Media-ა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მხარეებს შორის შუამდგომელია, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ყატარი საუდის არაბეთს ტრანსლაციაზე უფლებების ყიდვის გარეშე ჩვენებების წარმოებასა და კონტენტის მოპარვაში ადანაშაულებს. თუ ჩემპიონატის დაწყებამდე სიტუაცია არ გაირკვა, საუდის არაბეთის მცხოვრებლები ტურნირს ვერ ნახავენ.

15 ქალაქი ყველაზე მაღალი ხელფასებით

DEUTSCHE BANK ყოველწლიურად აქვეყნებს რეიტინგს Mapping the world's prices, რომელშიც შესწავლილია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა საგნის თუ სერვისის ფასები — სიგარეტის კოლოფიდან ბინამდე. ასევე ექსპერტები ადგენენ, რომელ ქალაქებშია ყველაზე მაღალი ხელფასები მსოფლიოში. 2018 წლის რეიტინგში ამ მხრივ გამოიკვეთა 15 ლიდერი: (დასაწყისი იხ. სრ№116-117)

10. ფრანკფურტი, გერმანია

საშუალო ხელფასი — 3 389 დოლარი.

კომერციის, კულტურის, განათლების, ტურიზმისა და ტრანსპორტის ცენტრი. იქ მდებარეობს ევროპის ცენტრალური ბანკი, გერმანიის ფედერალური ბანკი და ბირჟა.

9. დუბაი, ემირატები

საშუალო ხელფასი — 3 447 დოლარი.

გაერთიანებული ემირატების უმსხვილესი ქალაქი, ღრმაწყლოვანი პორტი, ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და ფინანსური ცენტრი. განვითარების და ზრდის ტემპებით უწევს კონკურენციას ჩინურ შანხაის. მნიშვნელობით მსოფლიოში მესამე რეექსპორტის ცენტრი. ქალაქში არ მოქმედებს რამდენიმე გადასახადი — საშემოსავლო, კაპიტალის, ფიზიკური პირების შემოსავლებზე და შემოსავლების რეპატრიაციზე.

8. კოპენჰაგენი, დანია

საშუალო ხელფასი — 3 462 დოლარი.

დანიის დედაქალაქი და უმსხვილესი ქალაქი, სამთავრობო, ეკონომკური და კულტურული ცენტრი. ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი ფინანსური ცენტრი, იქ მოქმედებს კოპენჰაგენის საფონდო ბირჟა. ქალაქში სწრაფად ვითარდება ისეთი დარგები, როგორიცაა მომსახურება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტიკა, და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები.

7. ჩიკაგო, აშშ

საშუალო ხელფასი — 3 650 დოლარი.

შტატების სიდიდით მე-3 ქალაქი, მნიშვნელობით მე-2 ფინანსური ცენტრი და ჩრდილოეთ ამერიკის უმსხვილესი სატრანსპორტო კვანძი. ჩიკაგოშია ერთ-ერთი 12 სარეზერვო ფედერალურ ბანკებს შორის, ჩიკაგოს სავაჭრო პალატა, სასაქონლო და საფონდო ბირჟები.

6. ოსლო, ნორვეგია

საშუალო ხელფასი — 3 664 დოლარი.

ნორვეგიის დედაქალაქი და უმსხვილესი ქალაქი, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. საპორტო ქალაქი, სადაც მოქმედებს საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებული 980 კომპანია — გადამზიდავები, მაკლერები, სადაზღვევო კომპანიები. ოსლოს საზღვაო პორტი ყოველწლიურად ემსახურება 6000-ზე მეტ გემს, ამუშავებს 6 მლნ-ზე მეტ ტონა ტვირთს, და გადაყავს 5 მლნ.-ზე მეტი მგზავრი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4511; ევრო - 2.8661;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2769;
100 რუბლი - 3.9464; თურქული ლირა - 0.5310;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4411;
1000 სომხური დრამი - 5.0643.

ამინდი 7 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge